ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის - სოციალური სერვისების მიმწოდებლების მხარდაჭერა რეგიონებში

საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი

მომზადებულია დამოუკიდებელი მკვლევარის თამარ მახარაძის მიერ

2018 წელი

EDEC
EDUCATION DEVELOPMENT AND EMPLOYMENT CENTER

ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის

ASB
Arbeiter-Samariter-Bund

სარჩევი

აბრევიატურები 3

ანოტაცია 5

1. შესავალი 8

1.1 პროექტის მიმოხილვა 8

1.2 პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები 8

1.3 კვლევის მიზანი 9

2. მეთოდოლოგიის აღწერა 9

3. კვლევის შეზღუდვა 10

4. ძირითადი ნაწილი – მონაცემების ანალიზი და ძირითადი მიგნებები 11

4.1 სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ზოგადი სოციალური ფონი 11

4.2 საბჭოების დაკოპლექტების გამოცდილება 14

4.3 საბჭოებსა და ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში შშმპ თემის ჩართულობა 16

4.4 საბჭოების მუშაობის თავისებურებები და ეფექტურობა 18

4.5 საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა და ძირითადი გამოწვევები 23

5. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები 25

6. გამოყენებული ლიტერატურა 30

7. დანართები 33

აბრევიატურები

ASB	საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი
EDEC	განათლების განვიტარების და დასაქმების ცენტრი
AEE	მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის
UN CRPD	გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
DPO	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები
შშმ პირი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
სსმ პირი	სპეციალური საჭიროებების მქონე პირი

ეს კვლევა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი და არ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებას.

ანოტაცია

2014 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, შშმ პირთა უფლებების დაცვა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულება გახდა. გაეროს კონვენციის იმპლემენტაციისა და დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. ამ გეგმით, წლების მიხედვით გაწერილი იყო კონკრეტული აქტივობები, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებსა და ადგილობრივ მთავრობებს შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის მხარდასაჭერად უნდა განეხორციელებინათ. აღნიშნული გეგმა ადგილობრივ მთავრობებს ავალებდა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოების შექმნას, ადგილობრივი შშმპ თემის აქტიური ჩართულობით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის ეს მექანიზმი ხელს უწყობდა გაეროს კონვენციის 33.1[1] მუხლის შესრულებას.

მოცემული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ მთავრობებში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობის შესწავლა. კვლევა განხორციელდა პროექტის „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის - სოციალური სერვისების მიმწოდებლების მხარდაჭერა რეგიონებში“ ფარგლებში, რომელსაც „საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი“ პარტნიორ ორგანიზაციებთან „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ და „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის” თანამშრომლობით. პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს საბჭოების ეფექტურობაზე; ასევე, საბჭოების მუშაობის პროცესში აღმოცენებული გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზება.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდს - პირველადი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იყო სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. შესწავლილი იყო რელევანტური მასალები. კვლევა ჩატარდა ხუთი რეგიონის (იმერეთი, აჭარა, კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და სამცხე ჯავახეთი) ცხრა მუნიციპალიტეტში (ბაღდათი, ქუთაისი, სამტრედია, საჩხერე, ქობულეთი, თელავი, ზუგდიდი, ბორჯომი და ასპინძა). სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარდა 47 სიღრმისეული ინტერვიუ და ოთხი ფოკუს ჯგუფი. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 66 რესპონდენტმა. კვლევა განხორციელდა 2018 წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდში.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის შედეგად ფორმირებული მთავრობის პირობებში ჩამოყალიბდა და მოქმედებდა მერის/გამგებლის უფლებოსილების პერიოდში. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საბჭოებმა მუშაობა ექვს მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ქუთაისი, სამტრედია, ბაღდათი, ზუგდიდი და ასპინძა)

[1] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მუხლი 33.1- მონაწილე სახელმწიფოები, მათი მმართველობის სისტემის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით ასახელებენ ერთი ან რამოდენიმე საკონტაქტო უწყებას, რომელიც კურირებას გაუწევს წინამდებარე კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს; სათანადო დონეზე შეისწავლიან ხელისუფლებაში სხვადასხვა სექტორებსა და დონეზე შესაბამისი აქტივობის ხელისშემწყობი მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნისა და დასახელების შესაძლებლობას.

განაახლა, დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში (საჩხერე, თელავი და ბორჯომი) კი განახლების პროცესშია. კვლევაში მოცემული დასკვნები ეფუძნება როგორც მოქმედი, ისე „წინა“ საბჭოების გამოცდილებას .

კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივ მთავრობებში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები ძირითადად მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საბჭოს მუშაობაში შშმპ თემის ნაკლები ჩართულობა - უმრავლეს შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობაში ჯეროვნად არ არის წარმოდგენილი შშმპ თემი. საბჭოს წევრი შშმ პირები ეფექტური ჩართულობისთვის დამატებით მომზადებას საჭიროებენ - ხშირ შემთხვევაში, მათ არ აქვთ საბჭოში მუშაობისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. გარდა ამისა, ხშირად ადგილობრივი მთავრობის წარმოამდგენლებს მათ მიმართ არაადეკვატური მოლოდინები აქვთ, რომელიც ძირითადად გარემოს ადაპტირებას უკავშირდება. უმრავლეს შემთხვევაში, საბჭოს მუშაობაში ჩართულნი არიან ადგილობრივი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო შშმპ თემის დიდი ნაწილი კვლავ ამ პროცესის მიღმა რჩება და აგრძელებს სოციალურ იზოლაციაში ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ჩართულობას საბჭოების მუშაობა ვერ უზრუნველყოფს.

საბჭოების მუშაობას წარმართავს მერის / გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული დებულება. თუმცა, უმრავლეს შემთხვევში, დებულება პრქტიკულად არ ხორციელდება - საბჭოს შეხვედრებს არ აქვს რეგულარული ხასიათი, უმრავლეს შემთხვევაში განიხილება მიმდინარე საკითხები, რომლებიც ძირითადად ინდივიდუალურ შემთხვევებს ეხება და ნაკლებად არის მიმართული სისტემური ცვლილებებისკენ. საბჭოს მუშაობის ძირითად პრიორიტეტს ფიზიკური გარემოს ადაპტირება წარმოადგენს და ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ფსიქო-სოციალური საჭიროებების, სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე პირები. ამასთანავე, ხშირად გარემოს ადაპტირება არასწორ ხედვას ეფუძნება - გათვალისიწინებული არ არის გარემოს მოწყობის უნივერსალური დიზაინის პრინციპი. პრაქტიკულად არ ხორციელდება დებულებით გათვალისწინებული საბჭოს ძირითადი ფუნქციები, კერძოდ, საბჭოს ნაკლები თანამშრომლობა აქვს ცენტრალური მთავრობის რელევანტურ სტრუქტურებთან და სახალხო დამცველის აპარატთან; საბჭოს მუშაობის შესახებ ნაკლებად ინფორმირებულია ადგილობრივი შშმპ თემი და არასამთავრობო ორგანიზაციები. სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებობს შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი ერთი ან მეტი ინიციატივა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდება. თუმცა, ეს აქტივობები ადგილობრივი მთავრობისა და ცალკეული არასამთავრობო / შშმპ ორგანიზაციების ეფექტური თანამშრომლობის შედეგს წარმოადგენს და საბჭოების მუშაობას ნაკლებად უკავშირდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოები პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივ დონეზე გაეროს კონვენციის განხორციელების მხარდაჭერას; თავისი საქმიანობით ვერ ახდენენ ადგილობრივი შშმპ თემის მობილიზებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობას; შესაბამისად, ნაკლებად უწყობენ ხელს გაეროს 33.1 მუხლის შესრულებას. აქედან გამომდინარე, გაეროს კონვენციის განხორციელების ხელშეწყობისა და ადგილობრივი მთავრობის საქმიანობაში შშმპ თემის ჩართულობის გასაზრდელად ორი ძირითადი შესაძლებლობა გამოიკვეთა - (1) საბჭოების ინსტიტუტის ალტერნატიული, ქმედითი მექანიზმის მონახვა - რაც უფრო ფართო დისკუსიისა და შემდგომი კვლევის საგანია ან (2) მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა საბჭოების გაძლიერებისა და მათი ეფექტურობის გაზრდისთვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: საბჭოს შემადგენლობაში შშმპ თემის სრული

სპექტრის ჩართვა; ადგილობრივი შშმპ თემის გაძლიერება და მათი თვითორგანიზების ხელშეწყობა; ადგილობრივი მთავრობის წევრებსა და შშმპ თემში გაეროს კონვენციის პოპულარიზაცია; საბჭოს მუშაობის გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება; საბჭოს წევრებში საჭირო კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა; სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედ საბჭოებს შორის გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება ცენტრალური მთავრობის რელევანტურ სტრუქტურებთან და ბოლოს, ფოკუსის გაძლიერება ადგილობრივი შშმ პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რადგან ხარისხიანი განათლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ცნობიერების ამაღლებას, ინფორმირებულობისა და სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდას.

1. შესავალი

1.1 პროექტის მიმოხილვა

მოცემული კვლევა განხორციელდა პროექტის „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის - სოციალური სერვისების მიმწოდებლების მხარდაჭერა რეგიონებში“ ფარგლებში. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტს ახორციელებს „საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი“ პარტნიორ ორგანიზაციებთან „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ და „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის” თანამშრომლობით.

1.2 პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები

არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB) არის გერმანული არაპოლიტიკური, არარელიგიური დახმარებისა და კეთილდღეობის ორგანიზაცია, რომელიც აქტიურია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, სამოქალაქო დაცვა, პირველადი დახმარება და სოციალური მომსახურებები. 1,5 მილიონი წევრითა და 130 წელზე მეტი გამოცდილებით, ASB არის ერთ ერთი უძველესი და უდიდესი სოციალური დახმარების ორგანიზაცია გერმანიაში. 1921 წლიდან, იგი ჩართულია საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მისიებში და აქვს წარმომადგენლობები საზღვარგარეთ.

2010 წლიდან ASB საქართველოს ოფისის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კერძო-სახელმწიფო-სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა, სოციალურ საწარმოთა მხარდაჭერა და სოციალური სერვისების მიწოდება სოციალურად დაუცველი, მათ შორის იძულებით გადაადგილებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (EDEC) არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მისიაა ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და დასაქმების სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, პრობლემების გადაწყვეტის მდგრადი მოდელების შექმნა, განხორციელება და დანერგვა. ამჟამად ორგანიზაცია ოთხი პროგრამული მიმართულებით მუშაობს: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ბავშვთა დაცვა, ეკონომიკური განვითარება და განათლება.

მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 2011 წელს და იმართება ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აქტივისტების მიერ. თავის საქმიანობას ორგანიზაცია ახორციელებს რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით: საზოგადოების გაძლიერება და მასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოძრაობის გაზრდა; საინფორმაციო პროპაგანდის წარმოება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე თანმიმდევრული და ეფექტური სტრატეგიული მიდგომის შემუშავების მიზნით, რათა მოხდეს შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; საზოგადოების ცნოებიერების ამაღლება და თანამშრომლობა ცვლილებებისთვის - კონსტრუქციული პარტნიორობის დამყარება, როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორებთან და დამოუკიდებელ აქტივისტებთან.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და მხარდაჭერას, რაც შეესაბამება 2014-2016 წლების საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმას შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნულის პარალელურად, პროექტი ეფუძნება შშმ პირთა უფლებების დაცვის

შესახებ გაეროს კონვენციის (UN CRPD) პრინციპებს. პროექტის სამიზნე ჯგუფებია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შშმ პირთა ორგანიზაციები (DPOs), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, სამინისტროები და ადგილობრივი ხელისუფლება.

1.3 კვლევის მიზანი

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივ მთავრობებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) საკითხებზე მომუშავე საბჭოების მუშაობის შესწავლა – არსებული გამოწვევებისა და საბჭოების ეფექტურობის გაზრდის გზების ანალიზი. მიზნიდან გამომდინარე, კვლევით ამოცანებად შემდეგი საკითხების გაანალიზება იყო დასახული:

1. შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოების ძირითადი მიზნები და ფუნქციები;
2. შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოების ჩამოყალიბებისა და დაკომპლექტების ეფექტური გზები;
3. შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოების მუშაობის სპეციფიკა და მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები;
4. შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესების პერსპექტივები;
5. შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოების მუშაობის პროცესში მიღებული საუკეთესო გამოცდილება და სირთულეები.

2. მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევა ეფუძნება როგორც მეორად, ისე პირველად მონაცემებს. ***სამაგიდე კვლევის*** ფარგლებში შესწავლილი იყო ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების შესაბამისი დადგენილებები, სამიზნე მუნიციპალიტეტებში შექმნილი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების დებულებები და ოქმები, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები (იხ. გამოყენებული ლიტერატურა), ადგილობრივი შესაბამისი კვლევების ანგარიშები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესაბამისი პროექტების ანგარიშები.

პირველადი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ სიღრმისეული ***პირისპირ ინტერვიუ*** და ***ფოკუს ჯგუფი.*** რესპონდენტები შეირჩა საკითხში გათვითცნობიერებულობის დონისა და გამოცდილების მიხედვით. კვლევის მონაწილეები შეირჩა შემდეგი ჯგუფებიდან:

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოების წევრები;
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში შშმ პირთა თემისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- შესაბამისი წარმომადგენლები შემდეგი სტრუქტურებიდან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პრემიერ მინისტრთან არსებული საბჭო ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, სახალხო დამცველის აპარატი და საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
- შესაბამისი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოამდგენლები (იხ. დანართი #2).

საველე სამუშაობის დაწყებამდე შემუშავებული იყო ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფების სახელმძღვანელო კითხვები (იხ. დანართი #1). სახელმძღვანელო კითხვები განხილული იყო პროექტის მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საბოლოო სახე მათი უკუკავშირის განხილვის შემდეგ მიიღო.

კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონის 9 მუნიციპალიტეტში. სამიზნე რეგიონები და მუნიციპალიტეტები მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1: კლევაში მონაწილე რეგიონები და მუნიციპალიტეტები

#	**რეგიონი**	**მუნიციპალიტეტი**
1	იმერეთი	ბაღდათი
		ქუთაისი
		სამტრედია
		საჩხერე
2	აჭარა	ქობულეთი
3	კახეთი	თელავი
4	სამეგრელო –ზემო სვანეთი	ზუგდიდი
5	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი
		ასპინძა

კვლევა განხორციელდა 15.06.2018 -15.09.2018 პერიოდში. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2018 წლის 15 ივნისიდან 10 აგვისტომდე. საველე სამუშაოების დაწყებამდე სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებიდან გამოთხოვილი იყო შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების დებულებები, შეხვედრების ოქმები, სტრატეგიული გეგმები და სხვა შესაბამისი მასალა. აღსანიშნავია, რომ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტმა არსებული მასალა დროულად გამოგზავნა. გამონაკლისს წარმოადგენს თელავის მუნიციპალლიტეტი - აქ მასალების მიღება მხოლოდ ადგილზე გახდა შესაძლებელი.

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 66-მა რესპონდენტმა. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 47 რესპონდენტთან. ოთხ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 19-მა ადამიანმა მიიღო. კვლევის მონაწილეთა სია მოცემულია დანართში #2.

ინტერვიუს/ფოკუს ჯგუფის დროს განხორციელდა აუდიო ჩაწერა, რის შესახებ რესპონდენტებს ინტერვიუს დაწყებამდე ეცნობა. ვერ მოხერხდა მხოლოდ USAID -ის წარმომადგენლის ინტერვიუს აუდიო ჩაწერა, რადგან ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე აუდიოჩამწერის შეტანა ნებადართული არ არის. ინტერვიუს ხანგრძლივობა მერყეობდა 20 წუთიდან 1 სთ და 30 წუთამდე, ხოლო ფოკუს ჯგუფის - 1 სთ და 20 წუთიდან 2 საათამდე. ანგარიშზე მუშაობის დროს დამუშავებული იყო აუდიო ჩანაწერები. ტექსტში მაქსიმალურად არის დაცული რესპონდენტთა მოსაზრებების კონფიდენციალურობა.

3. კვლევის შეზღუდვა

ადგილობრივ მთავრობებში არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მოქმედების პერიოდი გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადით განისაზღვრება. სამიზნე მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ განახლებულ საბჭოებს ფუნქციონირების ხანმოკლე ისტორია აქვთ, ზოგ შემთხვევაში კი ჯერ კიდევ განახლების პროცესშია. შესაბამისად, განახლებული საბჭოების მუშაობის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად მდიდარი მასალა არ არსებობს. რაც შეეხება 2014-2017 წლებში

მოქმედი საბჭოების მუშაობას - ვერ მოხერხდა საბჭოს წევრი ადგილობრივი მთავრობის წამომადგენლების მოსაზრებების შესწავლა, რადგან ბევრი მათგანი უკვე აღარ იკავებდა ძველ თანამდებობას. ასევე, ნაკლებად იყოს ხელმისაწვდომი საჭირო დოკუმენტაცია.

4. ძირითადი ნაწილი – მონაცემების ანალიზი და ძირითადი მიგნებები

4.1 სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ზოგადი სოციალური ფონი

საქართველოში არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (შშმპ) მუნიციპალური სოციალური მომსახურებების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ადგილობრივი მთავრობის ხედვასა და პრიორიტეტების განსაზღვრის წესზე, ისე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების არსებობაზე. უმრავლეს შემთხვევაში, შშმ პირებისთვის სხვადასხვა სოციალური მომსახურების მიწოდებას ადგილობრივი არსამათავრობო და შშმპ ორგანიზაციები ახორციელებენ; შესაბამისად, მუნიციპალიტეტში კარგად განვითარებული არასამათავრობო და შშმპ ორგანიზაციების ქსელი მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს შშმ პირებისთვის საჭირო სოციალური მომსახურებების განვითარებისთვის. ეს კანონზომიერება კარგად გამოჩნდა კვლევაში. სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან შშმ პირებისთვის შედარებით მრავალაფეროვანი სოციალური მომსახურებები არსებობს დიდ ქალაქებში - ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში – იქ სადაც არასამთავრობო/შშმპ ორგანიზაციები უკეთ არიან განვითარებული. ასევე საერთო კანონზომიერებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არსებული მომსახურებები ძირითადად ორიენტირებულია შშმ ბავშვებზე და ნაკლებად ითვალისწინებს ზრდასრულ შშმ პირებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში მერიის თანამშრომლები ნაკლებად პრიორიტეტულად მიიჩნევენ ზრდასრული შშმ პირებისთვის საჭირო სოციალური მომსახურებების განვითარებას და მიაჩნიათ, რომ ეს ძირითადად სოციალური მომსახურების სააგენტოს ვალდებულებაა.

საერთო ტენდენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფა შშმ პირების მატერიალური დახმარებისთვის. ხშირ შემთვევაში ასეთი დახმარება არის ერთჯერადი და ძირითადად განკუთვნილია შშმ ბავშვებისთვის. მაგალითად, სამტრედიისა და ასპინძის მერიებში 18 წლამდე შშმ პირებისთვის არსებობს ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით; საჩხერისა და ბაღდათის მერიებში შშმ ბავშვებისთვის ერთჯერადად 150 ლარიანი დახმარებაა გამოყოფილი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია შშმ ბავშვებს ერთჯერადად 200 ლარს სთავაზობს, ხოლო ზრდასრულ შშმ პირების გარკეულ კატეგორიას – 100 ლარს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივ შშმ ბავშვებს ყოველთვიურ 100 ლარს უხდის; დამატებით 100 ლარს უხდის განსაზღვრული კატეგორიის შშმ ბავშვებს. ასევე, გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს შშმ პირების საახალწლო და სააღდგომო ფულადი დახმარებები. შშმ პირების ერჯერადი ფულადი დახმარებისადმი დადებითი დამოკიდებულება არც სახელმწიფო უწყების თანამშრომლებს აქვთ და არც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. როგორც ერთ–ერთი მერიის თანამშრომელმა აღნიშნა, ეს პრაქტიკა მათ არ დაუნერგავთ *“ ..და სავარაუდოდ დაინერგა იმიტომ, რომ არაფერი იყო ამ კატეგორიისთვის და ეს მაინც ყოფილიყო.. ახლა ძალიან მტკივნეულია გადასვლა ერთჯერადი დახმარებიდან გრძელვადიან მხარდაჭერაზე - ძალიან დიდი რესურსია*

ამისთვის საჭირო“ (ინტერვიუს რესპონდენტი, მერიის წარმომადგენელი, ზუგდიდი). კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ადგილობრივი შშმ პირები მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი არიან მუნიციპალურ ფულად დახმარებაზე და მათი ჩანაცლება სხვა მომსახურებით რთული იქნება, რადგან სოციალური მომსახურება ვერ დაფარავს ყველა შშმ პირს და ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ გარკვეული ჯგუფისთვის. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელმა შემდეგი მაგალითი მოიყვანა - 2018 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოცემულ დრომდე ერთჯერადი ფულადი დახმარებით 600 შშმ პირმა ისარგებლა; ახალი პროგრამა, რომელიც ფსიქიკური პრობლემების მქონე ზრდასრული პირების რეაბილიტაციას ეხება (ამ პროგრამის განვითარების სურვილი აქვს ზუგდიდის მერიას, რადგან ზრდასრული შშმ პირებისთვის სერვისები თითქმის არ არსებობს) ხელმისაწვდომი იქნება 30 ბენეფიციარისთვის; ბიუჯეტი კი თითქმის იგივეა, რაც 600 პირის ერთჯრადი ფულადი დახმრებისთვის.

როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე არასამთავრობო/შშმპ ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტებში არსებული შშმ პირთა მატერიალური დახმარების პრაქტიკა ვერ ფარავს იმ საჭიროებებს, რომლებიც ამ ადამიანებს აქვთ და ვერ ცვლის მათ მდგომარეობას. ამავე დროს, მატერიალურ დახმარებაზე გაცემული თანხა ჯამში ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, რთული ხდება ბიუჯეტიდან ახალი სოციალური სერვისების განვითრებისთვის საჭირო თანხის გამოყოფა, განსაკუთრებით მცირეშემოსავლიან მუნიციპალიტეტებში. *„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს არის წყალში გადაყრილი თანხა, იმ 25 000 ლარით მშვენიერი პროგრამა დაფინანსდებოდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, თვითონ შშმ პირებიდან წამოვიდა მოსაზრება - ეს 100 ლარიც კარგიაო“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, საჩხერე).*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ შშმ პირთა ერჯერადი ფულადი დახმარებების არსებული პრაქტიკა არასწორია და უნდა შეიცვალოს. თუმცა, იმისთვის რომ მატერიალური დახმარება ჩაანაცვლოს შესაბამისმა სოციალურმა მომსახურებამ, უნდა არსებობდეს გრძელვადიანი ხედვა და კონცეფცია, თუ როგორ ხდება თანმიმდევრობით სხვადასხვა შეზღუდვების მქონე პირთა საჭიროებების დაკმაყოფილება - ეს პროცესი აშკარა უნდა იყოს თვითონ მოსარგებლეებისთვის, რათა მათ თავად დაინახონ ახალი სერვისებით მიღებული სარგებელი. როდესაც არსებობს ასეთი გრძელვადიანი ხედვა და კონცეფცია, ამ შემთხვევაში პრიორიტეტების განსაზღვრა უფრო სწორად და თანმიმდევრულად ხდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შშმ პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პრაქტიკას უარყოფითად აფასებენ, როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ამავდროულად, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ გაცემული მატერიალური დახმარება მაინც ეხმარება შშმ პირებს იმ საჭიროებების მცირეოდენ დაკმაყოფილებაში, რომლებსაც ცენტრალური პროგრამები არ ითვალისწინებს – *„შშმ პირებს და მათ ოჯახებს დამატებითი საჭიროებები აქვთ. ზოგი ამ თანხით პამპერსს ყიდულობს, ზოგი წამალს, ყველას უჭირს .. (ფოკუს ჯგუფის მონაწილე, მერიის თანამშრომელი, ასპინძა).* ზოგადად გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ადგილობრივი შშმ პირების სოციალური ინკლუზიის მხარდასაჭერად საჭირო სერვისების განვითარება შეუძლებელია მხოლოდ მუნიციპალური რესურსით. ხაზი გაესვა ამ მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების წამყვან როლს.

შშმ პირთა საჭიროებების შესახებ ადგილობრივი მთავრობები ძირითადად მერიაში შემოსული წერილებიდან იგებენ. თუმცა, ამ მიმართულებით ასევე არსებობს არასამთავრობო

ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ამ კუთხით ინფომაციულია სახალხო დამცველის ანგარიშები. არცერთ სამიზნე მუნიციპალიტეტში არ არსებობს ადგილობრივი შშმ პირთა საჭიროებების ბაზა, თუმცა მისი მნიშვნელობა ერთხმად აღიარებულია როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე არასამთავრობო /შშმპ ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. სამტრედიისა და თელავის მუნიციპალიტეტებში იგეგმება შშმ პირთა საჭიროებების შესწავლა ამ პროცესში მერის რწმუნებულების აქტიური ჩართულობით.

შშმ პირთა სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებით ადგილობრივ მთავრობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის სუსტი თანამშრომლობაა. თანამშრომლობა ძირითადად გამოიხატება მერიების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის ადგილობრივი შშმ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გაცვლით. აღსანიშნავია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის გამოცდილება - ადგილობრივი მთავრობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადგილობრივი რესურს ცენტრის თანამშრომლობის შედეგად მერიაში გაჩნდა ინკლუზიის სპეციალისტის თანამდებობა – *„ ამ ადგილის აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც მშობლებმა სკოლებში და ბაღებში შშმ ბავშვების ტარება დაიწყეს, ეს ადამიანურადაც მისაღებია და ჩვენი ვალდებულებაცაა“ (ინტერვიუს რესპონდენტი მერიის წარმომადგენელი, ბაღდათი).*

თითქმის ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში არსებობს ადგილობრივ მთავრობასა და არასამთავრობო / შშმპ ორგანიზაციებს შორის ეფექტური თანამშრომლობის გამოცდილება. ბაღდათის მუნიციპალიტეტში შშმპ თემის გაძლიერების მიზნით ადგილობრივმა მთავრობამ ადაპტირებული სივრცე გამოუყო შშმ პირთა კავშირს „რწმენა და იმედი“, რომელიც 100-ზე მეტ წევრს აერთიანებს. გარდა ამისა, ადგილობრივმა მთავრობამ ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში პარაოლიმპიური სპორტის განვითარებას, ასევე დააფინანსა ინგლისურისა და კომპიუტერის სწავლების კურსი ადგილობრივი შშმ პირებისთვის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მთავრობისა და არსამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა არაერთი მომსახურება შშმ ბავშვებისთვის, მათ შორის აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყო არასამთავრობო ორგანიზაციას „ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ შშმ პირებისთვის დღის ცენტრის დაარსებაში და ფარავს მის კომუნალურ გადასახადებს. ასპინძის მუნიციპალიტეტმა სრულად დაიწყო ინტეგრირებული ბავშვთა ცენტრის დაფინანსება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „რეას“ ინიციატივით დაარსდა ასპინძაში. ქობულეთის მერიამ დაიწყო ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის მობილური გუნდის მომსახურების დაფინანსება. აღსანიშნავია საჩხერის მუნიციპალიტეტის გამოცდილება – საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო მუნიციპალიტეტში ერთადერთი შშმპ ორგანიზაციის „საჩხერის შშმ პირთა რეგისტრირებული კავშირის“ 5 000 ლარიანი სუბსიდირება. ასევე, შეიძინა ადაპტირებული მიკროავტობუსი, ადგილობრივი შშმ პირების ტრანსპორტირებისთვის და ამისთვის 5 000 ლარი გამოყო. მიკროავტობუსი ზემოაღნიშნულ შშმპ ორგნიზაციას გადაეცა სარგებლობისთვის. თუმცა, შემდგომში შშმპ თემში გარკვეული უთანხმოების გამო, ადგილობრივმა მთავრობამ მიკროავტობუსი კვლავ საკუთარ ბალანსზე აიყვანა, ხოლო შშმპ ორგანიზაციამ „საჩხერის შშმ პირთა რეგისტრირებული კავშირი“ უარი თქვა 5 000 ლარიან სუბსიდირებაზე. როგორც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ერთ-ერთი ორგანიზაციის სუბსიდირებამ შშმპ თემში უთანხმოება გამოიწვია და ის ორად გახლიჩა.

4.2 საბჭოების დაკოპლექტების გამოცდილება

ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული მთავრობების პირობებში ჩამოყალიბდა და მოქმედებდა მერის/გამგებლის უფლებამოსილების პერიოდში. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საბჭოებმა მუშაობა ექვს მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ქუთაისი, სამტრედია, ბაღდათი, ზუგდიდი და ასპინძა) გააგრძელა საბჭოს წევრების განახლებული შემადგენლობით; სამ მუნიციპალიტეტში (ბორჯომი, საჩხრე და თელავი) კი მიმდინარეობს საბჭოს წევრების განახლება.

საბჭოს მუშაობა და წევრების დაკომპლექტების წესი განსაზღვრულია მოცემული მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცებული საბჭოს დებულების მიხედვით. ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საბჭოს ხელმძღვანელობს (ან ხელმძღვანელობდა იქ, სადაც განახლებული საბჭო ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს) მერი ან მერის მოადგილე. აღნიშნული დებულებების შინაარსი ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავებებს ვხდებით საბჭოს წევრების დაკომპლექტების წესში. კერძოდ, რიგ მუნიციპალიტეტებში საბჭოს წევრებად არ მოიაზრებიან შშმ პირები და ისინი განიხილებიან მხოლოდ მოწვეული სტუმრის სტატუსით – მაგალითად სამტრედიის მუნიციპალიტეტში. ასეთივე გამოცდილება ჰქონდა ბორჯომის მუნიციპალიტეტს. სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, საბჭოს შემადგენლობაში გამოყოფილია ადგილები არსამთავრობო/შშმპ ორგანიზაციებისთვის. მუნიციპალიტეტების მიხედვით საბჭოს შემადგენლობის სტრუქტურა მოცემულია დანართში # 3.

იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც საბჭოს წევრებად არ მოიაზრებიან შშმპ თემის და არასამთავთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ეს საკითხი პრობლემად არ განიხილება - საბჭოს სხდომები ღიაა და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დასწრება: *„ჩვენ შშმ პირებს საბჭოს სხდომებზე ვიწვევთ, იგივე კომისიის წევრად ან საბჭოს წევრად. შეიძლება ეს ჩავთვალოთ მათ მონაწილეობად. შშმ პირები საბჭოს წევრებად ვერ იქნებიან იმიტომ, რომ დებულების მიხედვით განსაზღვრულია თანამდებობის პირები, ვინც უნდა იყოს საბჭოში“ (ინტერვიუს რესპონდენტი, მერიის თანამშრომელი, სამტრედია).*

სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებობს განსხვავებული გამოცდილება იმისა, თუ როგორ ხდება საბჭოს წევრი არასამთავრობო/შშმპ ორგანიზაციის წარმოამდგენლის შერჩევა. ზუგდიდში სამოქალაქო სექტორიდან საბჭოს წევრების შერჩევა მოხდა არასამათავრობო/ შშმპ ორგანიზაციების შეხვედრის შედეგად – ამ შეხვედრას ორგანიზება გაუკეთა ადგილობრივმა შშმპ ორგანიზაციამ „დეა“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თხოვნით. ქუთაისში არსებული საბჭოს შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მას დაემატა ადგილობრივი შშმპ ორგანიზაცია - საქართველოს ინვალიდთა ფედერაციის „აღორძინება 2002“ წევრი. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, ქუთაისის საბჭო ჯეროვნად არ არის დაკომპლექტებული შშმპ თემით. საბჭო ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით, რომელთაგან უმრავლესობა სერვისის მიმწოდებელია. ბაღდათში საბჭოს წევრები დაკომპლექტდა ადგილობრივი შშმპ კავშირის „რწმენა და იმედი“ წევრებისგან – კავშირის წევრები შეიკრიბნენ და განიხილეს კანდიდატურები. საინტერესო გამოცდილება აქვს საჩხერის მუნიციპალიტეტს – 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე მოქმედი

საბჭოს წევრების შესარჩევად ჩატარდა ადგილობრივი შშმ პირთა ყრილობა. საბჭოს წევრები სწორედ ყრილობაზე იყვნენ არჩეული.

კვლევის რესპონდენტებში არაერთგავროვანი დამოკიდებულება გამოიკვეთა საბჭოს შემადგენლობაში არასამთავრობო / შშმპ ორგანიზაციების დაკომპლექტების შესახებ: პირველი, კვლავ არსებობს ტენდენცია, რომ საბჭოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ მთავრობისთვის სასურველი პირები - საბჭოს წევრად ნაკლებად სურთ დაინახონ ის ადამიანები, რომლებიც ადგილობრივ მთავრობას ბოლომდე მოსთხოვს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას - *„ასეთი პრინციპული ადამიანები ნაკლებად სასურველები არიან საბჭოში - ამიტომ ვამბობ, რომ ხშირად ასეთი საბჭოები დეკორაციული ხასიათისაა, ხდება შეხვედრა შეხვერისთვის, იწერება ოქმი და ამის იქით არაფერი არ ხდება" (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, ზუგდიდი)*; მეორე, შშმპ თემი არ არის სრულად წარმოდგენილი, მაგალითად ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები და მათი წარმოამდგენლები ხშირად არ არიან საბჭოს შემადგენლობაში. და ბოლოს, საბჭოს შემადგენლობაში ხვდებიან მეტ-ნაკლებად ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც საკუთარი ინტერესები აქვთ და ყურადღების მიღმა რჩება შშმპ თემის ის ნაწილი (და შესაბამისად მათი ინტერესები), რომლებიც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, კვლავ სოციალურ იზოლაციაში ცხოვრობენ.

საბჭოს შემადგენლობაში სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების ყოფნამ წამოჭრა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. რესპონდენტების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ხშირად საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები საბჭოზე განსახილველად იმ საკითხებს აყენებენ, რომლებიც პირდაპირ მათი და მათი ორგანიზაციების ინტერესს უკავშირდება - ეს კი ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ემხრობა ამ მოსაზრებას - *„მე გამოცდილება მაქვს თბილისის საბჭოს მუშაობაზე დაკვირვების და მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება და შშმპ ორგანიზაციებიც უფრო განვითარებულია და უფრო კარგად იციან ადვოკატირების შესახებ, იქაც კი ეს ფორმატი გამოყენებული იყო კონკრეტული ორგანიზაციების ინტერესების გასატარებლად. 11 ორგანიზაცია იყო ჩართული და ყველა ორგანიზაცია აყენებდა იმ საკითხებს, რაც მის ორგანიზაციას ესახება პრობლემად და მისი ორგანიზაციისთვის არის მწვავე და არა ისეთ საკითხებს, რაც ზოგადი პრობლემაა ქვეყანაში" (ინტერვიუს რესპონდენტი, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, თბილისი).* თუმცა, რესპონდენტთა ნაწილი გამორიცხავს საბჭოს წევრებს შორის ყოველგვარ ინტერესთა კონფლიქტს - *" საბჭოს წევრებს შორის ინტერესთა კონფლიქტი უბრალოდ ვერ იქნება; საბჭო არაფრის განმკარგავი არ არის, ის გადაწყვეტილებებს არ იღებს, ეს მხოლოდ საკონსულტაციო ორგანოა (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი).* ინტერესთა კონფლიქტს ნაკლებად ხედავენ ადგილობივი მთავრობის წარმომადგენლები, რადგან თვლიან, რომ მერია სახელობით არცერთ ორგანიზაციას არ აფინანსებს, ყველაფერი ტარდება კონკურსისა და ტენდერის წესით. შესაბამისად, კონკრეტულად რომელიმე ორგანიზაციის ინტერსების ლობირება ნაკლებად შესაძლებელია. დებულების მიხედვით, საბჭოს ევალება არსებული პროგრამების შეფასება და მონიტორინგი. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში საბჭოს წევრები წარმოადგენენ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, დებულების მიხედვით გათვალისწინებული მონიტორინგის ფუნქციის შესრულებით ისინი ინტერესთა კონფლიქტის წინაშე დგებიან. საბჭოს წევრების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით კვლევის მონაწილეების მიერ გამოთქმული კრიტიკის შინაარსი დიდწილად ემთხვევა იმ

შენიშვნებს, რომლებიც გამოთქმული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შესაფასებლად განხორციელებულ კვლევაში, რომელიც ჩატარდა ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით (მენაბდე, 2012).

4.3 საბჭოებსა და ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში შშმპ თემის ჩართულობა

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის #76 განკარგულებით, დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით, ადგილობრივ მთავრობებს დაევალათ ადგილობრივი შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა შშმ პირების ჩართვას როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე მათ განხორციელებასა და მონიტორინგში. სწორედ ეს მიდგომა უწყობს ხელს გაეროს კონვენციის 33.1 მუხლის შესრულებას. თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, პრაქტიკულად ეს ასე არ ხდება. როგორც რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, „ჩართულობა“ მხოლოდ ფიქტიურია და რეალურად ადგილობრივ მთავრობას სჭირდება მხოლოდ იმიტომ, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებს მეტი გამჭვირვალობა და ლეგიტიმურობა მიანიჭოს. - *„... რადგან ჩართულობის ვალდებულება აქვთ [მთავრობას] და მათთვისაც მნიშვნელოვანია რომ ხალხს ჰქონდეს განცდა, რომ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში... თუნდაც იმიტომ, რომ მერე დაშვებული შეცდომები აპატიონ (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი).* საბჭოებში შშმპ თემის ჩართულობასთნ დაკავშირებით შენიშვნები სახალხო დამცველსაც აქვს - 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებთან მიმართებით გაკეთებული სამი რეკომენდაციიდან ორი საბჭოებში შშმ პირების ჩართულობას ეხება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015). ანალოგიურ რეკომენდაციებს ვხვდებით სახალხო დაცმველის 2016 და 2017 წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016; საქართველოს სახალხო დამცველი, 2017).

როგორც დანართში #3 მოცემული ცხრილიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში შშმპ თემი საბჭოს წევრების უმცირესობას წარმოადგენს. გამონაკლისი მხოლოდ ბაღდათის მუნიციპალიტეტია, სადაც საბჭოს 11 წევრიდან, ექვსი შშმპ თემით არის დაკომპლექტებული. თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, საბჭოს წევრობა თავისთავად არ ნიშნავს მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას. კვლევის მონაწილეების მოსაზრებით, საბჭოს წევრები უნდა ერკვეოდნენ როგორც მუნიციპალურ პროგრამებში, ისე ბიუჯეტის საკითხებშიც იმისთვის, რომ მათ საკითხები სწორად დააყენონ და რეალისტური წინადადებებით მიმართონ ადგილობრივ მთავრობას. არასწორად დაყენებული საკითხები ერთის მხრივ შშმპ თემის / არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას იწვევს და მეორეს მხრივ, საჭირო ცვლილებები არ ხორციელდება. როგორც აღინიშნა, საბჭოს მუშაობაში შშმ პირთა ნაკლები ეფექტურობის ძირითადი განმაპირობებელი არის ის, რომ ხშირად შშმპ თემის წარმომადგენლებს (განსაკუთრებით პატარა ქალაქებში და სოფლებში) არ აქვთ საბჭოში მუშაობისთვის საჭირო ცოდნა–უნარები და საჭიროებენ სპეციალურ მომზადებას. მაგალითად, საჩხერის მუნიციპალიტეტში საბჭოს წევრი შშმპ თემის წარმომადგენლები შშმ პირთა ყრილობაზე იყვნენ არჩეულნი, თუმცა როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, საბჭოს მუშაობაში ისინი ეფექტურად ვერ ჩაერთნენ - *„საბჭოს დებულების მიხედვით ჩვენ*

უნდა შევკრებილიყავით ორ თვეში ერთხელ და გვემსჯელა ახალ საკითხებზე. თუმცა, შშმ პირებს არ ჰქონდათ ახალი ინიციატივები. თუ შშმპ თემი არ გააქტიურდება, თვითმმართველობას, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, გაუჭირდება ორ თვეში ერთხელ ახალ-ახალი ინიციატივების შეთავაზება“ (ინტერვიუს რესპონდენტი, მერიის წარმომადგენელი, საჩხერე).

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია შშმ პირთა ინფორმირებულობის დონისა და სამოქალაქო აქტივიზმის ამაღლება – მოცემულ მომენტში შშმ პირები სათანადოდ არ არიან მომზადებულნი, არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას და ხასიათდებიან დაბალი სამოქალაქო აქტივიზმით; რესპონდენტთა აზრით, ეს არც არის გასაკვირი, რადგან შშმ პირები საფუძვლიანი განათლების მიღებას ვერ ახერხებენ, ნაკლებად მონაწილეობენ ტრენინგებსა და სემინარებში - *„გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების ლობიერება არ არის მარტივი საქმე და მას მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსი სჭირდება (ფოკუს ჯგუფის მონაწილე, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, საჩხერე).*

შშმ პირთა ჩართულობის ხელისშემშლელ ფაქტორად ასევე დასახელებულია არაადეკვატური დამოკიდებულებები, რომლებიც საზოგადოებას შშმ პირთა ოჯახის წევრებსა და ხშირად თავად შშმ პირებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ, რაც თავის მხრივ ამცირებს შშმ პირთა მოტივაციას მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში – *„ხვალ რომ გავიღვიძოთ და ყველა შენობა ადაპტირებული იყოს, მაინც შშმ პირთა დიდი ნაწილი იქნება ისევ სახლში იზოლირებული - მათი და მათი ოჯახის წევრების დამოკიდებულების გამო.. ჩვენ გვყავს შშმ სტუდენტები, აქტიური შშმ პირები, შესაბამისად შესაძლებელია მაინც სოციალურად აქტიური ცხოვრება“ (ინტერვიუს რესპონდენტი, მერიის წარმომადგენელი, ქუთაისი).* კვლევის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შშმ პირთა სოციალურ ინკლუზიაზე ზრუნვა კომპლექსური საკითხია და არასწორი იქნებოდა ცალკე დაგვეყენებინა სახლმწიფოს პასუხისმგებლობა და ცალკე ოჯახის.

საბჭოს მუშაობაში შშმ პირთა ეფექტური ჩართულობის ხელისშემშლელ მიზეზად ასევე დასახელებულია ისეთი ობიქტური ბარიერები, როგორებიცაა არაადაპტირებული ქუჩები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია სოფლად მცხოვრები შშმ პირებისთვის. ბევრი შშმ პირი ამ მიზეზის გამო ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომებში მონაწილეობას - როგორც მათ აღნიშნეს, კარგი იქნებოდა, თუ მერია იზრუნებდა მათ ტრასნპორტირებაზე. ფინანსური პრობლემების გამო მათ არ შეუძლიათ საკუთარი სახსრებით უზრუნველყონ სპეციალური ტრანსპორტის დაქირავება.

კვლევის მონაწილეები აღიშნავენ, რომ შშმ თემის გაძლიერების ერთ–ერთ მთავარ მექანიზმს მუნიციპალიტეტებში შშმპ ორგანიზაციების გაძლიერება წარმოადგენს და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ადგილობრივ მთავრობას აკისრებენ - *„მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ხელი შეუწყოს მათ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების სახლებიდან გამოყვანას და დაინტერესებას, მისცეს სივრცე შეკრებისთვის, შეხვედრებისთვის. დარწმუნებული ვარ, როდესაც ადამიანები სახლებიდან გამოვლენ, დაინახავენ, რომ მათ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებიც შეიძლება იყვნენ წარმატებულები, მოტივაცია გაუჩნდებათ ჩაერთონ ცხოვრებაში, უფრო აქტიურები გახდნენ...“ (ინტერვიუს რესპონდენტი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი, თბილისი).* ადგილობრივი მთავრობის მიერ შშმპ ორგანიზაციების გაძლიერებას მხარს უჭერს რესპონდენტთა უმრავლესობა - აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია სახელობით ერთი კონკრეტული ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების დაფინანსება

(რისი შემთხვევებიც არის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში), მხარდაჭერა უნდა შეეხოს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმპ თემის მობილიზებასა და გააქტიურებას ეხება, თემში ახალი სახეების გამოჩენას შეუწყობს ხელს. ადგილობრივ შშმპ თემში ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებლად ასევე განიხილება დამოუკიდებელი ცხოვრების საინფორმაციო ცენტრები, რომლებმაც სახელმწიფოს დაფინანსებით უნდა იმუშაოს და ხელი შეუწყოს შშმ პირების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების გაძლიერებას.

4.4 საბჭოების მუშაობის თავისებურებები და ეფექტურობა

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედი საბჭოების დებულებებისა და კვლევის მონაწილეების მოსაზრებებით, საბჭოს ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივ შშმ პირთა სოციალურ ინკლუზიას. კვლევის მონაწილეები ერთხმად აღიარებენ, რომ საბჭოების ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე გაეროს კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა, მისი ძირითადი პრინციპების დაცვით, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შშმპ თემის ჩართვას, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასა და მონიტორინგში. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ საბჭო უნდა იყოს ის ორგანო, რომელიც ადგილობრივ მთავრობას შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის მიმართულებით სწორი, გრძელვადიანი ხედვისა და თანმიმდევრული პრიორიტეტების განსაზღვრაში დაეხმარება. საბჭო უნდა დაეხმაროს ადგილობრივ მთავრობას შშმ პირთა საჭიროებების დანახვასა და სწორად განსაზღვრაში, იმის გააზრებაში, რომ შშმპ თემი *„ არ არის ერთგვაროვანი მასა; როგორც დანარჩენ საზოგადოებაში, აქაც არის სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები და არის სხვადასხვა მოტივაციები, ზოგი არის ბენეფიციარი, ზოგი მშობელი, ზოგი რაღაც სერვისს აწვდის და ზოგი აქტივისტია და უფლებებს იცავს... ხელისუფალი დაინტერესებული უნდა იყოს შეარჩიოს ყველა ჯგუფი და ჰქონდეს ბალანსი“ (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი).* ასევე, გამოთქმული იყო მოსაზრებები, რომ საბჭო ხელს უნდა უწყობდეს ადგილობრივი შშმპ თემის გააქტიურებას - მასში სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებასა და, ამავე დროს, ადგილობრივი მთავრობის წევრებში გაეროს კონვენციის პოპულარიზაციასა და მათში შეზღუდული შესაძლებლობების თემისადმი ადეკვატური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

დებულების მიხედვით, საბჭოს სხდომების ჩატარების პერიოდულობა განსაზღვრულია ორ ან სამ თვეში ერთხელ, თუმცა პრაქტიკულად ეს არცერთ მუნიციპალიტეტში არ სრულდება. შეხვედრებს არ აქვს რეგულარული ხასიათი – ამას ადასტურებს როგორც გამოგზავნილი საბჭოს სხდომის ოქმები, ისე საველე სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაცია. ინტერვიუებმა/ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ ხშირად საბჭოს შეკრებად განიხილება შშმ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ მერიის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომელთა შეხვედრა - შეხვედრა ორგანიზებულია სპონტანურად და არ გულისხმობს არასამთავრობო / შშმპ ორგანიზაციების წარმომადგენელი წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოწვევას – *„...როგორც კი უმნიშვნელო პრობლემა იქმნება, სწრაფად ვიკრიბებით და აუცილებელი არ არის, რომ ამას ჰქონდეს საბჭოს ფორმატი. საბჭოს ფორმატში საბჭო იკრიბება, თუ გარკვეული საკითხები დაგროვდა“ (ინტერვიუს რესპონდენტი, მერიის თანამშრომელი, ქობულეთი).* ხშირ შემთხვევაში, საბჭოს სხდომის ოქმებს აქვს ფორმალური და ნაკლებად ინფორმაციული ხასიათი. საბჭოების

არარეგულარულ შეხვედრებთან დაკაშირებით შენიშვნებია გამოთქმული სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში (საქართველოს სახალო დამცველი, 2016).

ძირითადად საბჭოს სხდომები იმართება დაგროვილი მიმდინარე საკითხების საპასუხოდ, რომელებიც ძირითადად შშმ პირთა ინდივიდუალურ განცხადებებს ეხება – ამ ფორმით, საბჭო ეხმარება ადგილობრივ მთავრობას ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც შშმ პირთა ინდივიდუალურ განცხადებებს ეხება – ძირითადად დაკავშირებულს მატერიალურ დახმარებებსა და სამედიცინო ხარჯების დაფარვასთან: *„საკმაოდ დელიკატური საკითხია, ვინ და როგორ უნდა შეირჩეს განცხადებებიდან, სადაც გთხოვენ სამკურნალო სარეაბილიტაციო ხარჯების დაფინანსებას. ამ განცხადებებზე მსჯელობს საბჭო და გვაწვდის თავის რეკომენდაციებს“ (ინტერვიუს რესპონდენტი, მერიის თანამშრომელი, ბაღდათი).*

სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან გამოგზავნილი საბჭოს სხდომების ოქმებიდან გამომდინარე (რასაც ასევე ამყარებს საველე სამუშაოებით მიღებული ინფორმაცია), საბჭოების მუშაობის ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს გარემოს ადაპტირება წარმოადგენს, თუმცა აქვე იკვეთება ის ფაქტი, რომ ხშირად, როგორც საბჭოს, ისე ადგილობრივი მთავრობის წევრებს ზოგადად (ზოგჯერ კი თავად შშმპ თემის წარმომადგენლებსაც), არასწორად ესმით გარემოს ადაპტირება. მათი მიდგომა არ ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპს[2] და ძირითადად პანდუსების გაკეთებას გულისხმობს. არასამთავრობო სექტორში გარკვეული უკმაყოფილებაა იმასთან დაკავშირებით, რომ მერიის შესაბამისი სამსახურები ხშირად მათგან ითხოვენ რჩევებს ადაპტირების პროცესის ისეთ დეტალებზე (მაგალითად, იმ შენობების დასახელებას, რომლებიც პირველ რიგში უნდა იყოს ადაპტირებული, პანდუსის სწორად აგების პარამეტრები და სხვა), რისი კომპეტენციაც არასამთავრობო სექტორს არ აქვს.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებით და მათ თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ძირითადი აქცენტი მაინც ეტლით მოსარგებლეებზე კეთდება. ნაკლებად არის გათვალისწინებული ფსიქიკური პრობლემების, სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე პირთა ინტერესები – *„სამწუხაროა ის გარემოებაც, რომ გარემოს ადაპტირება სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის ადგილობრივ მთავრობებს და თვითონ შშმპ თემსაც ხშირად გაგებული აქვთ, როგორც პანდუსების გაკეთება, კვლავ ძირითადი აქცენტი კეთდება ეტლით მოსარგებლეებზე, რაც შშმ პირთა ჯგუფში მნიშვნელოვან სეგრეგაციას ქმნის. მისასალმებელია პარაოლიმპიური სპორტის განვითრებისთვის მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა, ეს ძალიან კარგია, თუმცა არსებობენ სხვა შეზღუდვის მქონე პირები, რომლებსც ასევე ბევრი საჭიროება აქვთ“ (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, ზუგდიდი).*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების დიდი ნაწილი უარყოფითად აფასებს მოქმედი საბჭოების მუშაობას და თვლის, რომ პრაქტიკულად საბჭოები ვერ ახორციელებენ იმ მიზანსა და ფუნქციებს, რისთვისაც შეიქმნა. მათი მოსაზრებით, საბჭოების უდიდესი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზეა შექმნილი და ფასადური სახე აქვს. ანალოგიური მოსაზრებაა მოცემული სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში (საქართველოს სახალხო დამცველი). რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საბჭოების მუშაობა არაჯანსაღ

[2] უნივერსალური დიზაინი წარმოადგენს სისტემას, სივრცეებისა და ნივთების, ინფორმაციის, კომუნიკაციისა და წესების იმგვარად დაგეგმვისათვის, რომ ადამიანთა რაც შეიძლება მეტმა ჯგუფმა შეძლოს მათი მაქსიმალურად გამოყენება დამატებითი და სპეციალური გადაგეგმვის გარეშე

პროცესებს იწვევს და პრივილეგირებული შშმ პირების კასტას ქმნის, რომლებიც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ და რომელთა ინტერესები უპირველესად არის გათვალისწინებული საბჭოს და ზოგადად ადგილობრივი მთავრობის მუშაობის პროცესში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში კვლევის მონაწილეები ერთხმად აღიარებენ ადგილობრივი შშმ პირების საჭიროებების შესწავლის აუცილებლობას, თუმცა რეალურად ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არსად არ არის გადადგმული. მერიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კვლევის ჩასატარებლად საჭირო ფინანსური რესურსი ადგილობრივ მთავრობებს, განსაკუთრებით მცირეშემოსავლიან მუნიციპალიტეტებში, არ გააჩნიათ. სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან გამოგზავნილ ოქმებზე დაყდნობით შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი შშმ პირთა საჭიროებების შესწავლასთან დაკავშირებით საბჭომ მხოლოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტში იმსჯელა.

როგორც დოკუმენტაცია, ისე რესპონდენტთა მოსაზრებები ადასტურებს, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედ საბჭოებს არ აქვთ მუშაობის გრძელვადიანი ხედვა, თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვით გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად იმოქმედებენ. მათი მუშაობა ფოკუსირებულია ინდივიდუალურ შემთხვევებზე და ნაკლებად არის მიმართული სისტემური ცვლილებებისკენ. საბჭოების მუშაობის ფრაგმენტულობას ხელს უშლის ადგილობრივ მთავრობებში სუსტად განვითარებული ინსტიტუციური მეხსიერება და სამსახურებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. მაგალითად, 2016 წელს თელავის მერიაში შექმნილმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა, პოლონელ კოლეგებთან ერთად შეიმუშავა დოკუმენტი „2017-2021 წლებში ქალაქ თელავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მაცხოვრებელთა მიმართ საქმიანობის პროგრამა“. აღნიშნული დოკუმენტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და დამტკიცება ვერ მოესწრო მოქმედი ხელისუფლების მოქმედების ვადის ამოწურვის გამო. თუმცა, კვლევის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მოქმედი მთავრობა ამ დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დაწყებულია მუშაობა საბჭოს სამუშაო გეგმაზე. რესპონდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფისთვის, ახალი გეგმის ჩამოყალიბების ნაცვლად, საბჭოებმა შეიძლება ისარგებლონ 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმით, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი ადგილობრივი მთავრობების განსახორციელებელი აქტივობები - ეს მნიშვნელოვნად დაზოგავდა დროსა და ადამიანურ რესურსს.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღიარებს, რომ პრაქტიკულად საბჭოების ეფექტურობა ძალიან დაბალია. ფაქტობრივად, ისინი ვერ ახერხებენ იმ ფუნქციების შესრულებას, რაც მათ დებულებებშია მოცემული. შესაბამისდ, ლეგიტიმურად ჩნდება კითხვა - საჭიროა თუ არა საბჭოს ინსტიტუტის არსებობა? ამ კითხვაზე რესპონდენტების მოსაზრებები გაიყო - ნაწილი მიიჩნევს, რომ საბჭოების ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს და ჩანაცვლდეს უფრო ეფექტური მექანიზმით. რესპონდენტების დიდი ნაწილი კი თვლის, რომ არსებული ფონის მიუხედავად, საბჭოებმა უნდა გააგრძელოს ფუნქციონირება და ძალისხმევა მათი გაუმჯობესების მიმართულებით უნდა წარიმართოს.

რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებული საბჭოების ნაცვლად უკეთესი იქნება თუ ადგილობრივი მთავრობა შშმ პირთა საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციოდ და სათათბიროდ საბჭოს კი არ დაეყრდნობა, არამედ სათანამშრომლოდ მოიწვევს ყველა ადგილობრივ შშმპ პირს, რადგან დღევანდელი საბჭოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხარვეზად ხედავენ საბჭოს მუშაობაში მხოლოდ გარკვეული ნიშნით (ხშირ შემთხვევაში მთავრობისთვის სასურველ პირებს) შერჩეული ადამიანების ჩართვას.

რესპონდენტთა ამ ჯგუფის მოსაზრებით, ეს ქაოსს არ გამოიწვევს, რადგან შშმ პირების ჩართულობას ფასილიტაციას გაუწევს ადგილობრივი მთავრობის თანამშრომელი, რომლისთვის ეს ანაზღაურებადი სამუშაო იქნება. ის უზრუნველყოფს შშმ პირების ცალკეულ ჯგუფებში ჩართვას მათი ინტერესებიდან გამომდინარე და პროცესს კარგად ორგანიზებული და არაქაოტური სახე ექნება - *„..თუ იხილება ბავშვების საკითხი, იქ მივა მშობელი, თუ ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ადამიანების საკითხზეა მსჯელობა, იქ შეიძლება მე არ მივიდე, რადგან არ მაქვს სათანადო კომპეტენცია, მაგრამ თუ იქნება ინფრასტრუქტურაზე საუბარი, იქ მეც ჩავერთვები“ (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი).* შშმ პირთა ფართო ნაწილის ჩართულობის უზრუნველყოფა ასევე შეიძლება ელექტრონული პორტალის საშუალებით, სადაც წინადადების დაყენება ყველა მსურველს ელექტრონულად შეეძლება. რესპონდენტების მოსაზრებით, ამით უზრუნველყოფილი იქნება საჯაროობა, გამჭირვალობა და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი პირადი ინტერესების ლობირება. საბჭოს ნაცვლად, ღია სადისკუსიო მოდელის მხარდამჭერ არგუმენტად დასახელდა თვითონ საბჭოს ბუნება- *„ის [საბჭო] არის სათათბირო ორგანო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს, აქ მნიშვნელოვანია კონსესუსის მიღწევა... მისთვის გადაწყვეტილების მიღება არავის დაუვალებია, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაწერა სრულიად ფორმალური მგონია... ნებისმიერ შემთხვევაში, რასაც ადგილობრივი თვითმმართველი გადაწყვეტს, ის იქნება... (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი).* ზემოთ განხილული მოსაზრებები შესაბამისობაში მოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარებულ კვლევაში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებთან, რომლებიც გაეროს კონვენციის 33.1 მუხლის განხორციელებას ეხება (უედემი, 2016).

საბჭოს ინსტიტუტის მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ ეს ორგანო ეხმარება ადგილობრივ მთავრობას იმ ახალი პროგრამებისა და სერვისების განვითარებაში, რომლებიც თავის მხრივ აუცილებელია შშმ პირთა გააქტიურებისთვის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საბჭოებმა მნიშვნელოვნად გააიოლა კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასა და შშმპ თემს შორის, რამაც ხელი შეუწყო ახალი საჭირო პროგრამების დანერგვას. ერთ-ერთმა რესპონდენტმა სადემონსტრაციოდ მოიყვანა თბილისის მერიის მაგალითი - ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო პროგრამა - მართალია, ინიციატივა ეკუთვნოდა მშობლებს, მაგრამ მერიის თანამშრომლებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ ამ ჯგუფთან, რის შემდეგ ამ საკითხის განხილვა მოხდა საბჭოზე. როგორც აღინიშნა, უკვე წლებია ეს პროგრამა არსებობს თბილისის მერიაში და ეს გამოცდილება სხვა მუნიციპალიტეტებმაც გაიზიარეს. საბჭოს არსებობის მხარდამჭერმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომები ყველგან ღიაა და მასში მონაწილეობა ყველას შეუძლია, თუმცა დასწრების მსურველი ძალიან ცოტაა. სადემონსტრაციოდ კვლავ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო იყო მოყვანილი - საბჭოს შეკრებებზე დასასწრებად მოწვევა ეგზავნებათ არა მხოლოდ საბჭოს წევრებს, არამედ ყველა შშმპ ორგანიზაციას და რელევანტურ არასამთავრობო ორგანიზაციას. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ როგორც ***თემატურ ჯგუფში სამუშაოდ,*** ასევე ***საბჭოს სხდომებზე დასწრების თვალსაზრისით, შშმპ თემის წარმომადგენლები პასიურობას იჩენენ.***

სახალხო დამცველის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიდგომები ერთმანეთს ხელს არ უშლის და შესაძლებელია საბჭოს მუშაობა პერიოდულად გულისხმობდეს გაფართოებულ სხდომებს. მსგავსი გამოცდილება აქვს სახალხო დამცველის

აპარატში მოქმედ საკონსულტაციო საბჭოს. საბჭოების მუშაობას მხარს უჭერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, რადგან მიაჩნია, რომ სხვა შემთხვევაში კონსტრუქციული თანამშრომლობა რთული იქნება. თუმცა, ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია საბჭოს შემადგენლობაში სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობა - *„ყველგან მოიძებნება მშობელი, ქალი შშმ პირი, სხვა ჯგუფების წარმომადგენლები... უბრალოდ მათ უნდა ჰქონდეთ მოტივაცია, მიიღონ მონაწილეობა... ამისთვის საჭიროა, რომ პირველივე წელს დაინახონ რეზულტატი... როდესაც ადამიანი ხედავს თავისი მუშაობის რეზულტატს, მას ექმნება მოტივაცია გააგრძელოს; ეს ხომ უფასო სამუშაოა, ამაში მათ ხელფასს არ უხდიან. თუ შედეგს არ დაანახებ, ის მეორედ აღარ მოვა“ (ინტერვიუს რესპონდენტი, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი, თბილისი).* ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია დისკუსიაში უფრო ფართო თემის ჩართვა, რის საშუალებასაც საბჭოს გაფართოვებული შეხვედრები იძლევა.

რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საბჭოს წევრობა შესაძლებლობას იძლევა შშმ პირებმა მონაწილეობა მიიღონ არა მარტო ახალი საჭირო პროგრამების შემუშავებაში, არამედ ასევე ჩაერთონ მომდევნო ეტაპებზეც - დოკუმენტის განხილვაში საკრებულოს სხდომებზე, ბიუჯეტირებაში და სხვა - *„მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ასეთი საბჭოები განწირულია უმოქმედობისკენ ან მათ ზოგჯერ იყენებენ სახელისთვის, გამჭირვალობისთვის, მაინც მიმაჩნია, რომ ასეთი საბჭოები საჭიროა - ასეთ საბჭოებს დიდი ამბიციები არ აქვს, ეს არის სათათბირო ორგანო, მათი ძირითადი ფუნქციაა სწორად შეკრიბოს ინფორმაცია და სწორად მიაწოდოს სწორ ხალხს სწორ ადგილას... საბჭოსაც არ უნდა ჰქონდეს დიდი ამბიციები, რომ ქვეყანას გადაატრიალებს... ჩემთვის საბჭო არის თვითმმართველობის მუშაობაში საზოგადოების ჩართულობის ეფექტური ფორმა“ (ინტერვიუს რესპონდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, თელავი).* ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისთვის საგანგაშო არ არის ის ფაქტი, თუ საბჭო კონკრეტულ ქეისებს განიხილავს -*„ მთავარია, რომ ეს ცალკეული შემთხვევა გამოყენებული იყოს როგორც ზოგადი ტენდენციის მანიშნებელი და არა როგორც მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული ადამიანის პრობლემების მოგვარება (ინტერვიუს რესპონდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარომადგენელი, თელავი).* ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ***საბჭოს ეფექტურად მუშაობისთვის მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს შემადგენლობაში შშმპ თემი არ იყოს უმცირესობაში*** - „ერთი და ორი შშმ პირი საბჭოში ამინდს ვერ შექმნის“. ასევე, აქცენტი გაკეთდა საბჭოში სხვადასხვა ინტერესების მქონე შშმპ თემის წარმომადგენლების სრულად ჩართვის აუცილებლობაზე.

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ საბჭოების ეფექტურ მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებს შშმპ თემის პასიურობა, განსაკუთრებით სოფლებში – შშმპ თემი არ არის აქტიური, განსაკუთრებით რეგიონებში და მით უფრო სოფლებში. როგორც საბჭოს არსებობის, ისე მისი არარსებობის შემთხვევაში, ადგილობრივ მთავრობებში შშმ პირთა მხადამჭერი საკითხების ასახვისთვის აუცილებელ პირობას აქტიური და ძლიერი შშმპ თემი წარმოადგენს - ამის შესახებ კვლევის მონაწილეებში ერთსულოვანი დამოკიდებულებაა. *„სანამ თემი არ გაძლიერდება, საბჭო ეფექტური ვერასოდეს ვერ იქნება“ (ინტერვიუს რესპონდენტი, შშმპ ორგანიზაციის წარმომადგენელი, თბილისი).* შესაბამისად, საბჭოების ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად, მუნიციპალიტეტებში შშმპ თემის გაძლიერება ითვლება.

კვლევის მონაწილეები ერთხმად აღიარებენ შშმ პირებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას და მიაჩნიათ, რომ ხარისხიანი განათლება არის შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების, ინფორმირებულობისა და სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდის ძირითადი საშუალება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელს მიაჩნია, რომ საბჭოებმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ მუნიციპალიტეტებში ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია ადგილობრივ მთავრობებსა და განათლების სამინისტროს ადგილობრივ რესურს ცენტრებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება - ამ პროცესში საბჭოს მნიშნველოვანი როლის შესრულება შეუძლია. ჯერ კიდევ აქტუალურ საკითხად რჩება იმ შემთხვევების გამოვლენა, როდესაც ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გამო სკოლაში არ დადიან - *„დღეს ვიცით, რომ 6-დან 18 წლამდე დაახლოებით 10 000 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და სტატისტიკას თუ შევხედავთ განათლების სამინისტროში არსებულ გაზაში ვნახავთ, რომ სკოლაში 7 000-ზე ცოტა მეტი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვია (და მათგან რამდენია შშმ სტატუსის ჯერ არ ვიცით, სავარაუდოდ სექტემბერში გვეცოდინება), სად არის 3 000-მდე ბავშვი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არის სხვადასხვა ბერკეტი, რომ ეს ბავშვები დავინახოთ. თუმცა ვთვლი, რომ ეს თითოეული მუნიციპალიტეტის როლიც უნდა იყოს, რომ თავის თემში იდენტიფიცირება გაუკეთონ იმ ბავშვებს, რომელბიც სკოლაში არ დადიან - აქ საბჭომაც შეიძლება აქტიურად იმუშაოს მშობლებთან ისე, რომ ბავშვის განათლების უფლება იყოს დაცული“ (ინტერვიუს რესპონდენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი, თბილისი).* სამინისტრო მზად არის, გააკეთოს საჭიროებათა კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ თითოეულ მუნიციპალიტეტში რა სახის დამატებითი მხარდაჭერითი რესურსი სჭირდება სსსმ მოსწავლეებს და მიაწოდოს ადგილობრივ მთავრობას. ამ მიმართულებით იკვეთება საბჭოსა და სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის თანამშრომლობის შესაძლებლობა. საბჭომ შეიძლება ეფექტური ადვოკატირება გასწიოს მუნიციპალიტეტში ინკლუზიური განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4.5 საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა და ძირითადი გამოწვევები

რესპონდენტებს ზოგადად გაუჭირდათ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შშმპ თემის გასაძლიერებლად და მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობაზე მიმართული იმ აქტივობების გახსენება, რომლებიც უშუალოდ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მუშაობის შედეგად შეიძლება განვიხილოთ. უფრო ხშირად დასახელებული იყო მუნიცპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვადასხვა საინტერესო აქტივობები, რომლებიც უფრო მეტად შშმპ / არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობის ეფექტური თანამშრომლობის შედეგია და ნაკლებად უკავშირდება საბჭოს საქმიანობას.

საბჭოების მუშაობის შედეგად ინიცირებულ და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებულ აქტივობებად დასახელებული იყო:

- ქუთაისში: შშმ პირთა დასაქმების მხარდამჭერი საკონკურსო პროგრამის შექმნა ადგილობრვი არასამთავრობო / შშმპ ორგანიზაციებისთვის და შშმ პირთა დღის ცენტრების კომუნალური გადასახადების დაფარვა;

- საჩხერეში: ადაპტირებული მიკროავტობუსის შეძენა;
- ბაღდათში: პარაოლიმპიური სპორტის განვითარება, სპორტულ სკოლაში სასიარულოდ შშმ პირთა ტრანსპორტით მომსახურებას, ადგილობირვი შშმ პირთა კავშირისთვის ადაპტირებული ფართის გადაცემა და ინგლისურისა და კომპიუტერის სწავლების კურსის დაფინანსება ადგილობრივი შშმ პირებისთვის.
- ზუგდიდში: აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამის დაფინანსება;
- თელავი: ადაპტირებული სპორტული სასროლი დარბაზის, ტირის დაფინანსება;
- ასპინძა: მოზარდებისა და ახალგაზრდების ინტეგრირებული ცენტრის დაფინანსება;
- ბორჯომი: შშმ პირთა დღის ცენტრის დაფუძნების ხელშეწყობა და კომუნალური ხარჯების დაფარვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოთხოვილ საბჭოს სხდომის ოქმებში, მხოლოდ ქუთაისში განხორციელებული აქტივობებია ასახული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში განხორციელებული აქტივობები უფრო ცალკეული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობის ეფექტური თანამშრომლობის და არა საბჭოს მუშაობის შედეგია.

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მუშაობაში შემდეგი გამოწვევები გამოიკვეთა:

- უმრავლეს შემთხვევაში საბჭოები ჩამოყალიბებულია მექანიკურად, როგორც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N 76 განკარგულების საპასუხო აუცილებელი ნაბიჯი; ადგილობრივი მთავრობის წევრებს სიღმისეულად არ აქვთ გააზრებული პრაქტიკულად რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს აღნიშნული საბჭოების მუშაობამ, როგორ შეიძლება ამ რესურსის ეფექტურად გამოყენება;
- ადგილობრივი მთავრობის წევრებს ხშირად არასწორი მოლოდინები აქვთ მათ საქმიანობაში შშმპ თემის ჩართულობის შესახებ - მოელიან მათგან კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას, რომლის კომპეტენცია შშმ პირებს არ აქვთ; მაგალითად, პანდუსების დახრის კუთხის განსაზღვრას ან ადაპტირებული ტრანსპორტის ვარგისიანობის შეფასებას. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან ამ საკითხებზე მუშაობენ განსაზღვრული სპეციალობის მქონე ადამიანები, რომლებიც ამავდროულად შეიძლება იყვნენ შშმ პირები; თუმცა, ის რომ ადამიანი შშმ პირია, თავისთავად არ გულისხმობს, რომ ის აღნიშნულ საკითხებში კომპეტენტური იქნება. სწორი მიდგომა იქნებოდა - ასეთ სპეციფიკურ საკითხებზე ადგილობრივმა მთავრობამ მიმართოს შესაბამის სპეციალისტებს, მათი მოსაზრებები გააცნოს შშმპ თემს და მოისმინოს მათი დამოკიდებულებები;
- რიგ შემთხვევებში, საბჭოს არსებობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ხელს უწყობს პასუხისმგებლობის შშმპ თემთან განაწილებაში, ასევე, საბჭოს გადაწყვეტილება მეტ ლეგიტიმურობას სძენს ადგილობრივი მთავრობის მიერ მიღებულ გარკვეულწილად თამამ გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა მაგალითად, კონკრეტული პირებისთვის ძვირადღირებული სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება;
- საბჭოს წევრობა კვლავ გამოიყენება პირადი და იმ ორგანიზაციების ინტერესების გასატარებლად, რომელსაც საბჭოს წევრი წარმოადგენს. მისასალმებელია, რომ რიგ შემთხვევებში საბჭო ადეკვატურად რეაგირებს და ბლოკავს მსგავს ინიციატივებს, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება.

- უმრავლეს შემთხვევაში, საბჭოები ფოკუსირებულია კონკრეტული, ინდივიდებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაზე და ნაკლებად არის მიმართული სისტემური ცვლილებების განხორციელებისკენ, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის პრინციპებს.
- როგორც ადგილობრივი მთავრობის წევრების, ისე შშმპ თემის ინფორმირებულობა შშმ პირთა უფლებებისა და გაეროს კონვენციის შესახებ არის დაბალი. საჯარო პირებისა და შშმპ თემის დიდმა ნაწილმა იცის, რომ გაეროს კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, თუმცა კონკრეტულად რას გულისხმობს ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და როგორი კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი ნაკლებად არიან ინფორმირებულნი.
- ინფრასტრუქტურული ბარიერებისა და ფინანსური პრობლემების გამო სოფლად მცხოვრები შშმპ საბჭოს წევრებისთვის რთულია საბჭოს სხდომებზე დასწრება, რაც უარყოფითად აისახება საბჭოს მუშაობაზე - ნაკლებად ხდება შშმპ თემის მოსაზრებების ასახვა. ასევე, ამავე მიზეზით ხშირად ხდება საბჭოს სხდომების გადადება.
- ზოგადად, შშმპ თემისთვის დამახასიათებელია დაბალი სოციალური და სამოქალაქო აქტიურობა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავეა სოფლად მცხოვრები შშმ პირების შემთხვევაში, რის გამოც რთულია შშმპ თემში სოციალურად აქტიური და კომპეტენტური პირების ნახვა. აქედან გამომდინარე, შშმპ თემს უჭირს თვითორგანიზება; სუსტად არის განვითარებული შშმპ ორგანიზაციები;
- საბჭოს არაგამჭირვალედ დაკომპლექტება და არასწორი გადაწყვეტილებით წარმართული საქმიანობა ქმნის ადგილობრივ შშმპ თემის გახლეჩვის საფრთხეს.

5. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

მოცემული კვლევის ფარგლებში, ცხრა მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შესწავლამ დაგვანახა, რომ განსხვავების მიუხედავად, მოცემულ მუნიციპალიტეტებში საბჭოების მუშაობა და უფრო ზოგადად კი, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ძირითადად მსგავს გამოწვევებს უპირისპირდება.

ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში საბჭოები ჩამოყალიბებული იყო 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული მთავრობის პირობებში. 2017 წლის არჩევნების შემდეგ, საბჭოებმა მუშაობა ექვს მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, სამტრედია, ბაღდათი, ზუგდიდი, ქობულეთი და ასპინძა) განაახლა, ხოლო დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში (თელავი, საჩხერე და ბორჯომი) - განახლების პროცესშია. კვლევა გულისხმობდა როგორც მოქმედი საბჭოების მუშაობის შესწავლას, ისე 2014-2017 წლებში მოქმედი საბჭოების გამოცდილების გაანალიზებას. შესაბამისად, დასკვნები ეყრდნობა როგორც ორივე პერიოდის საბჭოების მუშაობას.

შესწავლილი მუნიციპალიტეტების საბჭოების დებულებები მსგავსი პრინციპით არის აგებული და ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ძირითადი განსხვავებები იკვეთება საბჭოს წევრების დაკომპლექტების წესში: სამტრედიასა და ბორჯომში საბჭოს შემადგენლობაში არ არიან ჩართულნი შშმ პირები. სხვა შემთხვევებში, შშმპ თემიდან / არასამთავრობო ორგანიზაციებიდან საბჭოს წევრების განსაზღვრა ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ჩართულობით განხორციელდა - კვლევის მონაწილეთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, მეტნაკლები გამჭირვალობით. აღსანიშნავია, რომ საჩხერეში ამ მიზნით ჩატარდა

ადგილობრივ შშმ პირთა ყრილობა. შერჩევის წესის მიუხედავად, საბჭოების მუშაობა ეფექტურად არსად შეფასებულა.

იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ადგილობრივი შშმპ /არასამთავრობო ორგანიზაციები კარგად განვითარებული არ არის (საჩხერე, სამტრედია, ბორჯომი, ბაღდათი) განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საბჭოს შემადგენლობაში სოციალურად აქტიური და შესაბამისი კომპეტენციის მქონე შშმ პირების ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შერჩევა - ნაკლებია როგორც მათი მოტივაცია, ისე საბჭოში ეფექტურად მუშაობისთვის საჭირო კომპეტენცია. ამ ფაქტორებს ემატება ინფრასტრუქტურული ბარიერები და ფინანსური საკითხები (ტრასნპორტირებისთვის საჭირო თანხა), რომლებიც კიდევ უფრო ამცირებს ამ ადამიანების საბჭოში ეფექტურად მუშაობის მოტივაციას. თუმცა, ისინი ფორმალურად წევრებად ირიცხებიან და ფორმალურად საბჭო ფუნქციონირებს.

ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში, სადაც არასამთავრობო სექტორი საკმაოდ კარგად არის განვითარებული, პრობლემას წარმოადგენს შშმპ თემიდან / არასამთავრობო ორგანიზაციებიდან საბჭოს იმ ადამიანებით დაკომპლექტება, რომლებიც თავს შეიკავებენ საბჭოს სხდომებზე უპირატესად საკუთარი ორგანიზაციების ინტერესების დაყენებისგან. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, არსებობს თუ არა ინტერესტთა კონფლიქტი საბჭოს წევრებს შორის. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებიდან ჩანს, რომ ახალი პროგრამები ჩნდება იმ მიმართულებით, სადაც აქტიური, მიზანდასახული და კომპეტენტური „ლობისტები“ არიან. ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში შექმნილი ახალი სოციალური ინიციატივები უაღრესად მნიშვნელოვანია და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ადგილობრივ შშმ პირთა სოციალურ ინტეგრაციაში.

საერთო სურათს წარმოადგენს ის, რომ საბჭოების მუშაობაში ყურადღების გამახვილება ძირითადად კონკრეტულ შემთხვევებზე ხდება (მაგალითად სად უნდა გაკეთდეს პანდუსი) და ინდივიდუალურ საჭიროებებზე (მაგალითად, ვინ უნდა მიიღოს თანხა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციისთვის ან ვინ უნდა ისარგებლოს საკურორტო მომსახურებით). არსად არ გვხვდება გრძელვადიანი და თანმიმდევრული ხედვა - როგორ უნდა იყოს ინტეგრირებული შშმ პირთა საჭიროებები მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუმცა საუბარი ამგვარი გრძელვადიანი გეგმის / სტრატეგიის ჩამოყალიბების შესახებ ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. მოცემულ მომენტამდე, არცერთ საბჭოს ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგმული არ აქვს. თელავის მუნიციპალიტეტში ასეთი სტრატეგია 2016 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა ამჟამინდელ ხელისუფლებას ამ დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

შშმპ თემის სოციალური და სამოქალაქო პასიურობის ფონზე, გასნაკუთრებით კი სოფლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბჭოების მუშაობაში ჩართულია ძირითადად ის რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია, რომლებიც წლების განმავლობაში აქტიურობს და სტაბილურობით გამოირჩევა. პატარა ქალაქებში კი, ასეთი ორგანიზაციები ან არ არის ან მხოლოდ ერთი ან ორია. კიდევ უფრო რთულად არის საქმე შშმპ ორგანიზაციებთან მიმართებით. ვინაიდან შშმპ ორგანიზაციის ცნება ახლახანს დამკვიდრდა საქართველოში, მათ არსებობისა და აქტიურობის შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვთ; შესაბამისად, ეს სექტორი ნაკლებად არის განვითარებული და მისი გავლენაც არც ისე მნიშვნელოვანია. ეს ფონი კიდევ უფრო მძიმეა პატარა ქალაქებში და სოფლებში, სადაც შშმ პირების მიმართ სტიგმა და დისკრიმინაციული მოპყრობა უფრო ძლიერია. აქედან გამომდინარე, კონვენციით

გათვალისწინებული შშმ პირთა სრული სპექტრის ჩართულობა ადგილობრივი მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში რეალურად ვერ ხორციელდება.

ასევე, საერთო სურათს წარმოადგენს ადგილობრივი მთავრობების განსაკუთრებული ფოკუსი შენობებისა და ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ადაპტირება გაგებულია, როგორც მხოლოდ პანდუსების გაკეთება. რიგ შემთხვევებში, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები ამ საკითხში რჩევას შშმპ პირებს სთხოვენ - დარწმუნებულები არიან, რომ „მათზე კარგად ეს საქმე არავინ იცის“. ცხადია, ეს არასწორი მიდგომა შედეგს ვერ იძლევა - ვერც შენობები ხდება ხელმისაწვდომი და საბჭოების და შშმპ / არასამთავრობო ორგნიზაციების კომპეტენტურობაც სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

უმრავლეს შემთხვევაში, ადგილობრივი მთავრობის მუშაობისას ძირითადი აქცენტი კეთდება შშმ ბავშვებზე. როგორც რესპონდენტებთან საუბარში გამოიკვეთა, ეს მხოლოდ ფინანსური რესურსების შეზღუდვას არ უკავშირდება - რიგ შემთხვევებში ითვლება, რომ ზრდასრული შშმ პირების საჭიროებები ადგილობრივ მთავრობას არ ეხება და ეს მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს საზრუნავია. ზრდასრული შშმ პირებისთვის საუკეთესო შემთხვევაში ხელმისაწვდომია მოკრძალებული ერთჯერადი ფულადი დახმარება ან ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, ასევე ძალიან მოკრძალებული ბიუჯეტის ფარგლებში. მისასალმებელია, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაიწყო ზრდასრული შშმ პირებისთვის სოციალური პროგრამების დაფინანსება.

ხშირ შემთხვევაში, საბჭო პოზიტიურად განიხილავს იმ ახალი პროგრამების შექმნას, რომლებიც შშმ პირებისთვის ახალი მატერიალური მხარდაჭერის ფორმებს ქმნის - სხვადსხვა შეზღუდვის ტიპის თუ ხარისხის შესაბამისად, რადგან მიაჩნიათ, რომ შშმ პირებს და მათ ოჯახებს დამატებითი საჭიროებები აქვთ, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამებით არ იფარება. ამავდროულად აცნობიერებენ, რომ გამოყოფილი მცირე თანხით ამ საჭიროებების მცირე ნაწილს ვერ დაუკმაყოფილებენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი შშმპ თემი მნიშვნელოვნად არის ორიენტირებული ადგილობრივი მთავრობების მიერ გაცემულ ერთჯერად ფულად დახმარებებზე. ერთჯერადი ფულადი დახმარების პრაქტიკა ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტშია. ეს პრაქტიკა თეორიულად არ მოსწონთ ადგილობრივ მთავრობებში, თუმცა არ არსებობს ხედვა, თუ როგორ შეიძლება ამ თანხის უკეთ გამოყენება.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედ საბჭოებს ნაკლებად აქვთ ქმედითი თანამშრომლობა ცენტრალური მთავრობის სტრუქტურებთან და სახალხო დამცველის ოფისთან. თანამშრომლობა ძირითადად სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ხორციელდება - ადგილობრივი შშმ პირთა რაოდენობის განსასაზღვრად. აღსანიშნავია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ საჭიროდ ჩათვალა ინკლუზიის სპეციალისტის თანამდებობის შექმნა, როდესაც სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შშმ და სსსმ ბავშვები გამოჩნდნენ. თუმცა, ეს გადაწყვეტილება ნაკლებად უკავშირდება საბჭოს მუშაობას.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ყველგან აღმოჩნდა ადგილობრივი მთავრობის მიერ განხორციელებული ერთი ან მეტი აქტივობა, რომელმაც გარკვეული დადებითი გავლენა იქონია ადგილობირვი შშმ პირთა კეთილდღეობაზე, თუმცა რთულია ამ ინიციატივების საბჭოს მუშაობასთან დაკავშირება, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ასეთი გამოცდილება ცალკეული არასამთვარობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობის ეფექტური თანამშრომლობის შედეგი უფროა, ვიდრე საბჭოს მუშაობის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურ საკითხად იკვეთება უფრო ფართო დისკუსიის ფორმატში იმის განხილვა, თუ რამდენად მართებულია გაეროს კონვენციის 33.1 მუხლის შესრულების მექანიზმად შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მიჩნევა. გამოცდილებიდან გამომდინარე, ხომ არ გახდა საჭირო უფრო ქმედითი ალტერნატივის მოძიება. ამ მიმართულებით მუშაობა და აზრთა შეჯერება მნიშვნელოვან დროს საჭიროებს. მანამდე კი, არსებული საბჭოებისა და, ზოგადად, ადგილობრივი მთავრობების მუშაობაში შშმ პირთა ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- ***საბჭოს შემადგენლობაში შშმპ თემის სრული სპექტრის ჩართვა*** - ამისთვის აუცილებელია საბჭოს მუშაობის შესახებ შშმ პირთა ინფორმირებულობის ეფექტური მექანიზმების შემუშავება; შესაძლოა, გამოყენებული იყოს მერის რწმუნებულების რესურსი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს სხდომებზე დასასწრებად შშმ პირთა ტრასნპორტირების ხელშეწყობა (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები შშმ პირებისთვის). მნიშვნელოვანია საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტება შშმპ თემის სრული სპექტრის გათვალისწინებით.
- ***ადგილობრივი შშმპ თემის გაძლიერება და მათი თვითორგანიზების ხელშეწყობა*** - ამ მიმართულებით საუკეთესო მექანიზმს წარმოადგენს ადგილობრივი შშმპ ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების მხარდაჭერა, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სივრცის გამოყოფას, მუნიციპალიტეტის ტექნიკით და კომუნიკაციის საშუალებებით (კომპიუტერი და ინტერნეტი) სარგებლობას, კომუნალური ხარჯების დაფარვას და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი მხარდაჭერა უნდა ეხებოდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად პასიური შშმ პირების, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და შშმ ბავშვთა მშობლების მობილიზებასა და გააქტიურებას. ამგვარი მხარდაჭერა არ უნდა გულისხმობდეს ცალკეული ადგილობრივი ორგანიზაციების სუბსიდირებას და მთლიანად უნდა გამორიცხავდეს მუნიციპალიტეტში პრივილეგირებული ორგანიზაციებისა და შშმ პირების შექმნას, რაც ხელს უწყობს შშმპ თემის გათიშვას.
- ***გაეროს კონვენციის პოპულარიზაცია*** - მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა ჩატარდეს ადგილობრივი მთავრობის წევრებსა და შშმპ თემში გაეროს კონვენციის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით ეფექტური იქნება სახალხო დამცველის აპარატის რესურსის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით ჩატარებული სემინარები უნდა იყოს თანმიმდევრული და რეგულარული, სადაც ორივე სამიზნე ჯგუფი ნათლად დაინახავს იმ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მთავრობის მუშაობის პროცესში შშმპ თემის ჩართულობის ეფექტურ მექანიზმებს და რაც მთავარია, გაანალიზებული იქნება შშმპ პირთა ჩართულობის მნიშვნელობა და სარგებელი ორივე მხარისთვის.
- ***გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება*** - მნიშვნელოვანია ადგილობრივ მთავრობაში შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება, რაც შესაძლებელია გაეროს კონვენციის ძირითად პრინციპებსა და სახელმწიფო სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით. გრძელვადიანი და თანმიმდევრული სტრატეგიის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ერჯერადი ფულადი დახმარებების გავრცელებული პრაქტიკის ჩანაცვლება იმ სოციალური პროგრამებით, რომლებსაც გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია შშმ პირებისა და მათი ოჯახებისთვის.

- ***საბჭოს წევრების კომპეტენციის ამაღლება*** - მნიშვნელოვანია საბჭოს შშმპ / არსამთავრობო ორგანიზაციების წევრებისთვის მერიაში არსებულ პროგრამებსა და ბიუჯეტთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, სადაც დეტალურად იქნება განხილული პროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავების თავისებურებები. აუცილებელია, რომ ასეთ შეხვედრებს დაესწრონ არა მხოლოდ საბჭოს წევრები, არამედ ნებისმიერი მსურველი ადგილობრივი შშმ პირი. დეტალურად უნდა დაიგეგმოს ადგილობრივი შშმპ თემის ინფორმირებულობისა და მათი დასწრების ხელშეწყობის მექანიზმები. ამ მიმართულებით ინფორმირებულობის ამაღლება დაეხმარება შშმპ თემს რეალისტური და კარგად დამუშავებული ინიციატივებით მიმართონ ადგილობრივ მთავრობას.
- ***ფოკუსის გაძლიერება შშმ პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზე*** - მნიშვნელოვანია საბჭომ მუშაობა გააძლიეროს ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად. ამისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობის განვითარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რესურს ცენტრებთან. ასევე, მნიშვნელოვანია მონიტორინგის გაძლიერება ბავშვებში სწავლის ფუნდამენტური უფლების დარღვევის აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიმართულებით. ამ კუთხით შესაძლებელია მერის რწმუნებულების რესურსის გამოყენება. საფუძვლიანი განათლება ხელს უწყობს შემდგომში სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას.
- ***გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის გაუმჯობესება*** - მნიშვნელოვანია შშმ პირთა საკითხებზე მუშაობის თვალსაზრისით ადგილობრივი მთავრობების გამოცდილების გაზიარება. ამ მიმართულებით შეიძლება დაიგეგმოს კონფერენციები, საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ როგორც წარმატებული შემთხვევები, ისე გამოწვევები. მნიშვნელოვანია ასეთ შეხვედრებში ცენტრალური მთავრობის სხვადასხვა უწყებების მონაწილეობა, რათა უკეთ გამოჩნდეს ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების თანამშრომლობის გზები. ასეთი შეხვედრების ორგანიზება შესაძლებელია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. გარკვეული ფინანსური რესურსების გაღება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია ადგილობრივ მთავრობასა და ცენტრალური მთავრობის უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება - შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა და სერვისების შესახებ ადგილობრივი მთავრობის შესაბამისი სტრუქტურების მეტი ინფორმირება, ამ მიმართულებით თანამშრომლობის გზების გამონახვა.
- **ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში შშმ პირთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმების ძიება** - თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე შესაძლებელია საბჭოს ფორმატის ალტერნატიული მექანიზმის იდენტიფიცირება, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს გაეროს კონვენციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესრულებას. ეს გამოცდილება შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პილოტური პროექტი, რომლის გაზიარება შეეძლებათ სხვა მუნიციპალიტეტებს.

6. გამოყენებული ლიტერატურა

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია (2018), მერის ბრძანება #469 11 - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2015), დადგენილება #36 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის დებულების დამტკიცების შესახებ;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (2018), მერის ბრძანება #1146, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (2018), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #1;

მენაბდე, ვ. (2012) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შეფასება, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო;

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2015), დადგენილება #50 - სამტრედიის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა (2016), გამგებლის ბრძანება # 37 64 - სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ;

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია (2018), სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #1;

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289

საქართველოს სახალხო დამცველი (2015), საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მგომარეობის შესახებ
http://ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი (2016), საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მგომარეობის შესახებ
http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი (2017), საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მგომარეობის შესახებ

http://ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2017), დადგენილება #16 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სტარტეგიის დამტკიცების შესახებ;

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია (2016), საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #1;

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია (2016), საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #2;

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია (2017), საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #1;

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია (2017), საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #2;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია (2016), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #1;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია (2016), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #2;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია (2016), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #3;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია (2017), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმი #1;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2018), მერის ბრძანება #568, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2016), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს სხდომის ოქმი #1;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2016), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს სხდომის ოქმი #2;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2017), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს სხდომის ოქმი #3;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2017), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს სხდომის ოქმი #4;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2017), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს სხდომის ოქმი #5;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია (2018), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს სხდომის ოქმი #6;

უედემი, ჯ. (2016) ადამიანის უფლებები ყველასათვის - ადმაიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშეწყობა.

7. დანართები

დანართი #1

კვლევის ინსრტრუმენტი - გზამკვლევი ინტერვიუებისთვის & ფოკუს ჯგუფებისთვის

ა) კითხვები საბჭოს წევრებისთვის

1. როგორ მოხდა საჭოს შექმნა - ვისი ინციატივით, როგორ მოხდა საბჭოს წევრების შერჩევა, როგორ განისაზღვრა საბჭოს მიზნები და ფუნქციები, რამდენად იყო ჩართული ამ პროცესში ადგილობრივი შშმპ თემი, არასმათავრობო ორგანიზაიები..
2. რა არის საბჭოს ძირითადი მიზანი და ფუნქციები - თქვენი აზრით, რამდენად სწორად არის შერჩეული ეს მიზნები და ფუნქციები
3. რამდენად ინფორმირებულია საბჭო ადგილობრივი შშმპ თემის საჭიროებების შესახებ - რა გზით ხდება ინფორმაციის შეგროვება?
4. რას დაასახელებდით ადგილობრივი შშმპ თემის მნიშვნელოვან პრობლემებად (ბაშვების და ზრდასრულების) - რას აკეთებს საბჭო ამ პრობლემების დასაძლევად?
5. რამდენად არის ჩართული შშმპ თემი საბჭოს მუშაობაში - შემოსულა თუ არა მათგან გარკვეული ინიციატივები? როგორი იყო რეაგირება?
6. როგორ აისახება საბჭოს მუშაობა ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში - რა სახის ინიციატივით მიმართა, რა სახის აქტივობები იყო განხილული/ განხორციელებული მისი რეკომენდაციით, რამდენად ითვალისწინებს ადგილობრივი მთავრობა საბჭოს რეკომენდაციებს, რა სირთულეები ახლავს ამ პროცესს
7. როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეუძლია ადგილობრივ მთავრობას ადგილობრივ შშმპ თემის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რამდნეად თავისუფალია ადგილობრივი მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობაში და რა არის ძირითადი პრობლემები (არ არის საკითხში გარკვეული, დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე, არ შეუძლია ბიუჯეტის შესაბამისად მართვა, მცირე ბიუჯეტი და სხვა)
8. რას დაასახელებდით, როგორც საბჭოს მუშაობის შედეგი/ები, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ადგილობრივი შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში
9. რა სახის თანამშრომლბა გაქვთ:
   - ცენტრალურ მთავრობასთან, მის ერთეულებთან (შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..);
   - სხვა მუნიციპალიტეტის შშმ საკითხებზე მომუშავე საბჭოებთან;
   - სახალხო დამველის აპარატთან;

- არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან.. ; საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დამსაქმებლებთან.. ;

10. როგორ შეაფასებდით საბჭოს მუშაობას? - რა ძირითად პრობლემას ხედავთ და როგორ წარმოგიდგენიათ საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდა (შშმ პირთა უფრო აქტიური ჩართვა, საბჭოს წევრებისა და ადგლობრივი მთავრობის პირველი პირების ინფორმირებულობის გაზრდა, სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება, სპეციალური პროგრამისა და შესაბამისი ბიუჯეტის გაჩენა - ადგილობრივი მთავრობის საქმიანობაში შშმპ საკითხების პრიორიტეტულობის გაზრდა , უფრო მკაცრი მონიტორინგი იმისა, მუშაობს თუ არა ადგილობრივი მთავრობა შშმპ საკითხებზე..);
11. ხომ ვერ გაიხსენებთ საბჭოს მუშაობის ისეთ დადებით გამოცდილებას, რომლის გაზიარება საინტერესო იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის

ბ) კითხვები შშმპ თემის წარმომადგენლებისთვის

1. რა იცით შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის შესახებ? როგორ გაიგეთ საბჭოს არსებობის შესახებ, როგორ იგებთ მისი საქმიანობის შესახებ? ზოგადად, რამდენად ინფორმიერბულია ადგილობრივი შშმ პირები საბჭოს მუშაობის შესახებ? თქვენი აზრით, რა არის საბჭოს მუშაობის შესახებ ადგილობრივი შშმპ თემის ინფორმირების საუკეთესო გზა?
2. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს საბჭოს ძირითადი მიზანი და ფუქნციები? რამდენად ასრულებს ამ მიზანსა და ფუნქციებს არსებული საბჭო?
3. რამდენად ინფორმირებულია საბჭო ადგილობრივი შშმპ თემის საჭიროებების შესახებ? როგორ იღებს ინფორმაციას? - ხვდება შშმ პირებს, ატარებს კვლევებს, სხვა? თქვენი აზრით, რა არის ინფორმაციის მოპოვების ყველაზე კარგი გზა?
4. რას დაასახელებდით ადგილობრივი შშმპ თემის მნიშვნელოვან პრობლემებად (ბავშვების და ზრდასრულების)? - რას აკეთებს საბჭო ამ პრობლემების დასაძლევად? პირადად თქვენ, რა სახის პრობლემის მოგვარებაში შეიძლება რომ დაგეხმაროთ საბჭო?
5. რამდენად არის ადგილობრივი შშმპ თემი ჩართული საბჭოს მუშაობაში? - პირადად თქვენ თუ გაქვთ სურვილი უფრო აქტიურად იყოთ ჩართული (რა ფორმით?)? ხომ არ მიგიმართავთ საბჭოსთვის გარკვეული ინიციატივებით და ხომ არ გსმენიათ, რომ სხვებს მიემართა გარკვეული იდეებით..? თქვენი აზრით, როგორ უნდა ჩართოს საბჭომ უფრო აქტიურად ადგილობრივი შშმ პირები მუშაობაში?
6. თქვენი აზრით, რამდენად აქტიურად ერთვება საბჭო ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში? - შედის ინიციატივებით, ლობირებას უკეთებს შშმ პირთა ინტერსებს,

ზრუნავს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარებაზე, სხვა.. ხომ არ გახსენდებათ საბჭოს მუშაობის შედეგად განხორციელებული აქტივობა, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ადგილობრივი შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში?

7. თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს ადგილობრივი მთავრობა საბჭოს რეკომენდაციებს? რამდენად შეუძლია საბჭოს მთვრობის მუშაობაზე გავლენის მოხდენა? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში - რა არის ამის მიზეზი?
8. როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეუძლია ადგილობრივ მთავრობას ადგილობრივ შშმპ თემის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რამდნეად თავისუფალია ადგილობრივი მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობაში და რა არის ძირითადი პრობლემები (არ არის საკითხში გარკვეული, დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე, არ შეუძლია ბიუჯეტის შესაბამისად მართვა, მცირე ბიუჯეტი და სხვა)
9. თქვენი აზრით, მეტი ეფექტურობისთვის რომელ ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან უნდა ითანამშრომლოს საბჭომ უფრო აქტიურად?
10. ზოგადად, როგორ შეაფასებდით საბჭოს მუშაობას? - რა ძირითად პრობლემას ხედავთ და როგორ წარმოგიდგენიათ საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდა (შშმ პირთა უფრო აქტიური ჩართვა, საბჭოს წევრებისა და ადგლობრივი მთავრობის პირველი პირების ინფორმირებულობის გაზრდა, სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება, სპეციალური პროგრამისა და შესაბამისი ბიუჯეტის გაჩენა - ადგილობრივი მთავრობის საქმიანობაში შშმპ საკითხების პრიორიტეტულობის გაზრდა , უფრო მკაცრი მონიტორინგი იმისა, მუშაობს თუ არა ადგილობრივი მთავრობა შშმპ საკითხებზე..)?
11. ხომ ვერ გაიხსენებთ საბჭოს მუშაობის ისეთ დადებით გამოცდილებას, რომლის გაზიარება საინტერესო იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის?

გ) კითხვები სახელმწიფო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

1. რამდენად ხართ ინფორმირებული ადგილობრივ მთავრობებში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების საქმიანობის შესახებ? საიდან ფლობთ ინფორმაციას? რომელი მუნიციპალიტეტის მთავრობებთან გქონიათ თანამშრომლობა - რა სახის იყო ეს თანამშრომლობა? რამდენად კმაყოფილი ხართ ამ თანამშრომლობით?
2. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს საბჭოების მუშაობის ძირითადი მიზანი და ფუნქციები? რამდენად ასრულებს ამ მიზანსა და ფუნქციებს არსებული საბჭოები?
3. თქვენი აზრით, როგორ უნდა იყოს ფორმირებული საბჭოს შემადგენლობა? როგორი უნდა იყოს მისი სტრუქტურა? - როგორ უნდა ავიცილოთ ინტერესთა კონფლიქტი საბჭოს

წევრებში? როგორი უნდა იყოს შეხვედრების პერიოდულობა, თანამშრომლობა სხვა უწყებებთან.. ?

4. თქვენი აზრით, რამდენად ინფორმირებულია საბჭოები ადგილობრივი შშმპ თემის საჭიროებების შესახებ? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიძიოს საბჭომ ადგილობრივი შშმპ თემის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია?
5. თქვენი აზრით, ადგილობრივი შშმპ თემის რა სახის პრობლემების მოგვარებაში შეიძლება იყოს ეფექტური საბჭოები? როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემების მოგვარებაში საბჭოების ჩართულობა?
6. რამდენად არის ადგილობრივი შშმპ თემი ჩართული საბჭოების მუშაობაში? - რამდენად ინფორმირებულნი არიან საბჭოების მუშაობის შესახებ? თქვენი აზრით, როგორ უნდა ხდებოდეს შშმ პირთა ინფორმირება საბჭოების მუშაობის შესახებ და როგორ უნდა ჩართოს საბჭომ უფრო აქტიურად ადგილობრივი შშმ პირები მუშაობაში?
7. თქვენი აზრით, რამდენად აქტიურად ერთვება საბჭო ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში? - შედის ინიციატივებით, ლობირებას უკეთებს შშმ პირთა ინტერსებს, ზრუნავს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარებაზე სხვა.. თქვენი აზრით, ძირითადად რა საკითხებზე მუშაოებენ საბჭოები? რა საკითხებზე უნდა მუშაობდნენ?
8. თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებენ ადგილობრივი მთავრობები საბჭოების რეკომენდაციებს? რამდენად შეუძლიათ საბჭოებს მთავრობის მუშაობაზე გავლენის მოხდენა? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში - რა არის ამის მიზეზი? როგორ უნდა გაიზარდოს მათი ზეგავლენა?
9. როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეუძლია ადგილობრივ მთავრობას ადგილობრივ შშმპ თემის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რამდნეად თავისუფალია ადგილობრივი მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობაში და რა არის ძირითადი პრობლემები (არ არის საკითხში გარკვეული, დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე, არ შეუძლლია ბიუჯეტის შესაბამისად მართვა, მცირე ბიუჯეტი და სხვა)?
10. თქვენი აზრით, უკეთესი ხომ არ იქნება, შშმ პირთა გარკვეული პროგრამების დაფინანსება ადგილობრვ მთავრობებს დაევალოს კანონმდებლობით, როგორც ეს ევროპის ბევრ ქვეყანაში ხდება? რა იქნება ამ ცვლილების დადებითი და უარყოფითი მხარე?
11. ზოგადად, როგორ შეაფასებდით საბჭოს მუშაობას? - რა ძირითად პრობლემას ხედავთ და როგორ წარმოგიდგენიათ საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდა (შშმ პირთა უფრო აქტიური ჩართვა, საბჭოს წევრებისა და ადგლობრივი მთავრობის პირველი პირების ინფორმირებულობის გაზრდა, სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება, სპეციალური პროგრამისა და შესაბამისი ბიუჯეტის გაჩენა - ადგილობრივი მთავრობის

საქმიანობაში შშმპ საკითხების პრიორიტეტულობის გაზრდა , უფრო მკაცრი მონიტორინგი იმისა, მუშაობს თუ არა ადგილობრივი მთავრობა შშმპ საკითხებზე..)?

12. ხომ ვერ გაიხსენებთ რომელიმე მუნიციპალიტეტში არსებული საბჭოს მუშაობის ისეთ დადებით გამოცდილებას, რომლის გაზიარება საინტერესო იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის

დანართი #2: კვლევის მონაწილეთა სია

#	სახელი, გვარი	მუნიციპალიტეტი	საქმიანობა / თანამდებობა	კვლევის ტიპი	კვლევაში მონაწილეობის თარიღი
1	მირიან ქათამაძე	ქობულეთი	ქობულეთის მერი / საბჭოს თავმჯდომარე	პირისპირ ინტერვიუ	05. 07 2018
2	ხათუნა მამასახლისი	ქობულეთი	ქობულეთის მუნიციაპლიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი/ საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	05. 07. 2018
3	აზა ბოლქვაძე	ქობულეთი	ახალაგზრდობისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი/ საბჭოს მდივანი	პირისპირ ინტერვიუ	05. 07 2018
4	ნინო ნოღაიდელი	ქობულეთი	შშმ პირთა თემის წარმომადგენელი/ საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	04. 07. 2018
5	ალექსი წაველიძე	ქობულეთი	შშმ პირთა თემის წარმომადგენელი/ საბჭოს წევრი,	პირისპირ ინტერვიუ	04. 07. 2018
6	ანა ზოიძე	ქობულეთი	შშმპ პირთა თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	05. 07. 2018
7	ნინო თვალთვაძე	ქუთაისი	ქუთაისის მერის მოადგილე/ საბჭოს თავმჯდომარე	პირისპირ ინტერვიუ	09. 07. 2018
8	ხათუნა ხორხომელიძე	ქუთაისი	ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი/ საბჭოს მდივანი	პირისპირ ინტერვიუ	09. 07. 2018
9	ვლადიმერ თორთლაძე	ქუთაისი	ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი/ საბჭოს წევრი, შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	09. 07. 2018
10	ლიკა კილაძე	ქუთაისი	განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
11	თემურ ჭეიშვილი	ქუთაისი	ქუთაისის „ინვალიდთა ფედერაციის“ ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	10. 07. 2018

12	ზაზა პატარიძე	ქუთაისი	რეაბილიტაციის ცენტრი „ნაიო“ / საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
13	დავით ბახტაძე	სამტრედია	სამტრედიის მერის მოადგილე / საბჭოს თავმჯდომარე	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
14	ნატო მანჯგალაძე	სამტრედია	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
15	ლევან ახობაძე	სამტრედია	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი / საბჭოს წევრი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
16	ლაშა ლორია	სამტრედია	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი / შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	11. 07. 2018
17	არჩილ გოგსაძე	ბაღდათი	ბაღდათის მერი / საბჭოს თავმჯდომარე	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
18	ნატო დოგრაშვილის	ბაღდათი	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინკლუზიის სპეციალისტი / საბჭოს მდივანი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
19	მარეხ მშვენიერაძე	ბაღდათი	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი / საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
20	გიორგი კვეტენაძე	ბაღდათი	შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
21	ოთარ ომიაძე	საჩხერე	საჩხერის მერის მოადგილე / საბჭოს თავმჯდომარე	პირისპირ ინტერვიუ	11. 07. 2018
22	გიორგი გოგატიშვილი	საჩხერე	შშმპ თემის წარმომადგენელი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
23	ოთარ გოგოჭოური	საჩხერე	შშმპ თემის წარმომადგენელი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
24	გიორგი ნადირაძე	საჩხერე	შშმპ თემის წარმომადგენელი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
25	ია სხირტლაძე	საჩხერე	შშმპ თემის წარმომადგენელი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
26	ლარისა ყაველაშვილი	საჩხერე	შშმპ თემის წარმომადგენელი	ფოკუს ჯგუფი	11. 07. 2018
27	გიგო ასანიძე	საჩხერე	შშმპ თემის წარმომადგენელი	სატელეფონო ინტერვიუ	13 .07. 2018
28	მაიზერ ნანავა	ზუგდიდი	ზუგდიდის მერის მოადგილე / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	პირისპირ ინტერვიუ	13. 07. 2018
29	ნინო სხულუხია	ზუგდიდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის	პირისპირ	13. 07. 2018

			მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი / საბჭოს წევრი	ინტერვიუ	
30	ნონა კვარაცხელია	ზუგდიდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტი / საბჭოს მდივანი	პირისპირ ინტერვიუ	13. 07. 2018
31	მადონა ხარებავა	ზუგდიდი	შშმპ თემის წარმომადგენელი / საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
32	ნათია სახოკია	ზუგდიდი	შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
33	რუსლან საჯაია	ზუგდიდი	შშმპ თემის წარმომადგენელი / საბჭოს წევრი	პირისპირ ინტერვიუ	12. 07. 2018
34	გურამ გურაბანიძე	თელავი	თელავის მერის მოადგილე	პირისპირ ინტერვიუ	16. 07. 2018
35	გიორგი ენუქიძე	თელავი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	პირისპირ ინტერვიუ	16. 07. 2018
36	ტარიელ გალახვარიძე	თელავი	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	პირისპირ ინტერვიუ	16. 07. 2018
37	თამარ სიდამონიძე	თელავი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტი	პირისპირ ინტერვიუ	16. 07. 2018
38	ეკა მიქელაძე	თელავი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტი	პირისპირ ინტერვიუ	16. 07. 2018
39	მარეხ მგალობლიშვილი	თელავი	საიას თელავის ოფისის ხელმძღვანელი	პირისპირ ინტერვიუ	17. 07. 2018
40	მაია რაზმძე	თელავი	შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	17. 07. 2018
41	ნიკა ექიტაშვილი	თელავი	შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	17. 07. 2018
42	ლადო ჭინჭარაული	თელავი	შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	17. 07. 2018
43	მიხეილ ხუციშვილი	ბორჯომი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	ფოკუს ჯგუფი	07. 08 2018
44	მარინა ხუჯაძე	ბორჯომი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახლგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი	ფოკუს ჯგუფი	07. 08 2018

45	ირინა ალბორიშვილი	ბორჯომი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	ფოკუს ჯგუფი	07. 08. 2018
46	თეა კიკიაძე	ბორჯომი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულებელი	ფოკუს ჯგუფი	07. 08. 2018
47	გაიანე ნარიბანდიანი	ბორჯომი	შშმპ თემის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	07. 08. 2018
48	ნანა ლომაძე	ბორჯომი	არსამათავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - „ერთად რეალური ცვლილებებისთის“, ხელმძღვანელი	სატელეფონო ინტერვიუ	07. 08. 2018
49	როსტომ მაგრაქველიძე	ასპინძა	ასპინძის მერი / საბჭოს თავმჯდომარე	პირისპირ ინტერვიუ	08. 08. 2018
50	ანა ტივიძე	ასპინძა	ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი / საბჭოს წევრი	ფოკუს ჯგუფი	08. 08. 2018
51	ქეთევან მამულაშვილი	ასპინძა	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	ფოკუს ჯგუფი	08. 08. 2018
52	ოთარ ცინაძე	ასპინძა	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახლგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი	ფოკუს ჯგუფი	08. 08. 2018
53	ელისო ბექაური	ასპინძა	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთა გაერთიანების დირექტორი	ფოკუს ჯგუფი	08. 08. 2018
54	ალექსნდრე ადვაძე	ასპინძა	შშმპ თემის წარმომადგენელი	სატელეფონო ინტერვიუ	08. 08. 2018
55	ანა არგანაშვილი	თბილისი	პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის	სატელეფონო ინტერვიუ	24. 07. 2018
56	ანა ლაღიძე	თბილისი	„გადავარჩინოთ ბავშვები“	პირისპირ ინტერვიუ	28. 06. 2018
57	ეკა დღებუაძე	თბილისი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	პირისპირ ინტერვიუ	25. 06. 2018
58	გიგა სოფრომაძე	თბილისი	თბილისის მერია, საბჭოს აღმსასრულებელი მდივანი	პირისპირ ინტერვიუ	27. 06. 2018
59	გიორგი ახმეტელი	თბილისი	ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის	პირისპირ ინტერვიუ	22. 06. 2018
60	გიორგი ძნელაძე	თბილისი	კოალიცია დამოუკიდებელი	პირისპირ	31. 07. 2018

			ცხოვრებისთვის	ინტერვიუ	
61	ქეთი მელიქაძე	თბილისი	გაეროს ბავშვთა ფოდნი	პირისპირ ინტერვიუ	28. 06. 2018
62	კობა ნადირაძე	თბილისი	ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის	პირისპირ ინტერვიუ	21. 06. 2018
63	მარი წერეთელი	თბილისი	სოციალური მომსახურების სააგენტო	პირისპირ ინტერვიუ	25. 06. 2018
64	ნუცი ოდიშარია	თბილისი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პირისპირ ინტერვიუ	03. 07. 2018
65	რატი იონათამაშვილი	თბილისი	საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	პირისპირ ინტერვიუ	25. 06. 2018
66	რუსო კოხოძე	თბილისი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	პირისპირ ინტერვიუ	25. 06. 2018
67	თორნიკე დვალი	თბილისი	მთავრობის ადმინისტრაციის ადამაინთა უფლებების დაცვის კომისიის მრჩეველი	პირისპირ ინტერვიუ	27. 06. 2018
68	მედეა კაკაჩია	თბილისი	USAID	პირისპირ ინტერვიუ	26. 06. 2018

დანართი 3: შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შემადგენლობის სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით

#	მუნიციპალიტეტი	საბჭოს წევრების რაოდენობა	ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი	არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი	შშმპ თემის წარმომადგენელი
1	ასპინძა	9	7	1	1
2	ბაღდათი	11	5	-	6
3	სამტრედია	11	11	-	-
4	ქობულეთი	13	7		6
5	ქუთაისი	18	11	6	1
6	ზუგდიდი	19	14	-	5
7	საჩხერე	საბჭოს შემადგენლობა განახლების პროცესშია			
8	ბორჯომი				
9	თელავი				